



გაზეთი გაეოღის
1930 წლის 5
ნოემბრიდან

samtredlismacne @ gmail.com

მაცნე

სამტრედიის

N11 (9298)

20 აპრილი, 2019 წელი

ფასი 50 თეთრი

“უეუხადლებოდ ახუ ეთი ოჯახი დახჩეზა”

2

მორიზილე დე
განანადგურე

4

დიდი იდეების
მოლაშქრე



ენის დღეს მოსწავლეთა პარლამენტი
საინტერესო აქტივობით გამოეხმაურა

5

ეპირანტები
რუხაქეების
მრავალშვილიან
ოჯახს ეხმარებიან



5

“ჯეო ჰოსპიტალსმა” ვიტალი ჯვარშეიშვილს
სიცოცხლის ხალისი დაუბრუნა

“... სიუჟეტოელოია, ჟროზთი, ის ომეროთიეც”

6

ქრისტე აღ(ს)დგა!

“ვაი, რა კარგი საჩინო რა ავად მივიჩნიეს!
ბოროტისაგან კეთილი შურით ვერ განარჩიეს,
მაცხოვრებელი შენ მათი წარმწყმედლად მივიჩნიეს,
დიდება მოთმინებასა შენსა, უფალო იესო!”
დავით გურამიშვილი

ქრისტე აღდგა მკვდრებით, სიკვდილითა სიკვდილისა დამორგუნველი და საფლავების შინათა, ცხოვრების მიმნიჭებელი.

აღდგომა (მოძრავია) და აღინიშნება გაზაფხულის ბუნიობის შემდეგ, სავესე მთავრის მომდევნო კვირა დღეს, (ებრაული პასექის სწორს მოდის რომელიმე კვირა დღეზე.) ახალი სტილით ოთხი აპრილიდან 8 მაისამდე.

აღდგომის ბრწყინვალე დღეს წინ დიდმარხვა უსწრებს, რომელიც მორწმუნეებს აღდგომის შესახებდრად ამზადებს. დღესასწაული ერთ კვირას გრძელდება (ნათელი კვირა, კვირაცხოველი).

საადღგომოდ მორწმუნენი კვერცხებს წითლად ღებენ, წითელი ფერი ქრისტეს მიერ კაცობრიობის კეთილდღეობისათვის დანთხეული სისხლის მოსაგონარია, კვერცხი კი მარადიული სიცოცხლის სიმბოლო.

შესაბამისი ღვთისმსახურება სრულდება საადღგომოდ მოქმედ ტაძრებში.

...
რაოდენ სასიხარულოა, რომ კვლავ გაიმართება უწმინდესისა და უნეტარესის სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, ილია მეორის მიერ, საყოველთაო ნათლობის მორიგი ეტაპი, რის შემდეგაც ასობით ბავშვი განდგება პატრიარქის ნათლული.

უფალმა დაიცვას და გააძლიეროს სრულიად საქართველო!

ლევან ბაბუნაშვილი



ბზობას (ბაიობა) გილოცავთ!

ბზობა-ბაიობა ქრისტიანული ეკლესიის ერთ-ერთი მთავარი (მოძრავი) დღესასწაულია და აღდგომის წინა კვირა დღეს აღინიშნება. ქრისტიანული კულტურის მსახურებაში ბზობა IV საუკუნეში შემოვიდა, იგი საწყის ძველი ებრაული დღესასწაულიდან იღებს. ბზობის შინაარსი სახარებისეულ მოთხრობაზე დაფუძნებული, სადაც აღწერილია პასექის დღესასწაულზე დასასწრებად იესო ქრისტეს შესვლის ამბავი იერუსალიმში.

იესოს ზემოთ შეეგება მოსახლეობა, პატივისცემისა და სიხარულის ნიშნად, მის სახედარს ფეხქვეშ ვინ თავის სამოსს, ვინ კიდევ პალმის ტოტებს – ბაიას უფენდა, თან “ოსანას” შესძახოდნენ. ბზობის დღესასწაულიც სიმბოლურად იმეორებს სახარების ამ მოთხრობის ზოგიერთ დეტალს.

ბზობას მღვდელმსახურნი მლოცველთა მიერ მიტანილ ტოტებს აკურთხებენ, გალობენ და ა. შ. რაკილა ბევრ ქვეყანაში (მათ შორის საქართველოშიც) პალმის მაგივრობას ზზა წვეს, სახელწოდებაც (ბზობა) აქედან მიიღო დღესასწაულმა.

21 აპრილს (ახალი სტილით) აღინიშნება წელს ბზობა.

ლევან ბაბუნაშვილი

“უეხადლებოდ ახც ეთი ოჯახი ახ დაჩება”

ნაპირსამაგრი გაბიონებისა და გზის დამცავი ჯებირების დასრულებული სამუშაოები გომის ადმინისტრაციულ ერთეულში 16 აპრილს მუნიციპალიტეტის მერმა, ვალერიანე ფოცხვერიამ, მერიის ინფრასტრუქტურის სამსახურის უფროსთან, ზურაბ გოგიასთან, საკრებულოს ინფრასტრუქტურის საკითხთა კომისიის თავმჯდომარესთან, მერაბ უღრელიძესთან და სოფლის თავკაცებთან ერთად დაათვალიერა. იქვე იყო ტენდერში გამარჯვებული კომპანიის წარმომადგენელი. შპს “ნიკამ”, დაახლოებით, 1 კვირის განმავლობაში გომის ადმინისტრაციულ ერთეულში, მდინარე კაპიტონაზე, ნაპირსამაგრი გაბიონი და ბოგირი მოაწყო.

გზის დამცავი ჯებირი გაკეთდა დაბლა გომში ევრეთ წოდებულ ქოსნათის უბანში. სოფელ გომმუხაყრუაში თევზაძეების საკარმიდამო ნაკვეთის მიმდებარედ მეწყრული მოვლენების შესაჩერებლად გზის საფრდენი კედელი რკინა-ბეტონით გაძაგრა.

მეწყერსაშიმ ზონაში წლებია უწყვეტ ცხოვრება გომნატეხებში რეზო ცხვარაძესა და ლეილა მეფარიშვილს. მათი ოჯახების პრობლემის მოგვარება საცხოვრებელი სახლების მიმდებარედ მთის გამაგრებით და საფრდენი კედლის აშენებით მოხდა.

მუნიციპალიტეტის მერმა, ვალერიანე ფოცხვერიამ, ადგილობრივ მედიასთან კომენტარში ხაზგასმით აღნიშნა, რომ მეწყერსაშიმ ზონებში არც ერთი ოჯახი უწყურადღებოდ არ დარჩება, შესაძლებლობის ფარგლებში ადგილობრივი ხელისუფლებისაგან მათ მაქსიმალური მხარდაჭერა ექნებათ.

გინო ნახტავაძე



მოიზიდე და გაანადგურე

15 აპრილს მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომათა დარბაზში სტუმრებს მასპინძლობდა, აქ აზიურ ფაროსანასთან ბრძოლის საკოორდინაციო მართვის ცენტრის წარმომადგენლები იმყოფებოდნენ. ცენტრის ხელმძღვანელმა, ლამა შალამბერიძემ მავნებელთან ბრძოლის სახელმწიფო სტრატეგიის პრეზენტაცია გაართა. მაღალი რანგის სპეციალისტებმა საუბარი კითხვა-პასუხის რეჟიმში წარმართეს და დარბაზში მყოფ ფერმერებს მათთვის საინტერესო საკითხებზე ამომწურავი პასუხები გასცეს. ამავე დროს სათანადო რჩევა-დარიგებებიც მისცეს. აღინიშნა, რომ იმ სოფლებში, სადაც მავნებლები განსაკუთრებით მრავალადაა, “მოიზიდე და გაანადგურე” სადგურები დამონტაჟდება.

დარბაზში კი, არა მარტო მეფუტკრეები, თხილის პლანტაციის მფლობელები, აგრეთვე მუნიციპალიტეტის მერი, ვალერიანე ფოცხვერია, საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე, კობა ძიძიგური და ქალაქში, დაბასა და სოფლებში მერის წარმომადგენლებიც იმყოფებოდნენ.

ორგანიზებული, ფართომასშტაბიანი ბრძოლა ვერაგი მავნებლის წინააღმდეგ – ასეთი პათოსი გასდევდა საქმიან შეხვედრას, რომელმაც თათბირის დაწყებამდე ფერმერების განწყობა, რომ თათბირი თათბირისათვის იქნებოდა, აშკარად გააქარწყლა.

მისასალმებელია უდავოდ, რომ ხელისუფლება, შესაბამისი სამსახურები დაუნდობელ ბრძოლას უცხადებენ ვერაგ მავნებელს.

2019 წელს აზიური ფაროსანას წინააღმდეგ გასატარებელი ღონისძიებების დაფინანსებისათვის სახელმწიფო ბიუჯეტიდან მილიონობით ლარია გამოყოფილი.

ლევან ბაბუნაშვილი

ენის დღეს მოსწავლეთა პარლამენტი საინტერესო აქტივობით გამოეხმაურა

ნათია ნაცვლიძე

მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლთან არსებულმა ახალგაზრდული პარლამენტის წევრებმა მუნიციპალიტეტის საგანმანათლებლო რესურს-ცენტრში ენის დღისადმი მიძღვნილი ღონისძიება გამართეს. მოსწავლეებმა საინტერესო მოხსენებები წარმოადგინეს, ისაუბრეს 1978 წლის 14 აპრილის ისტორიულ მნიშვნელობაზე, გაიხსენეს, როგორ დაიკვირდა სამშობლოს სიყვარულით გულანთებულმა ახალგაზრდებმა ენის სახელმწიფო სტატუსი და არ მისცეს უფლება კრემლს, საქართველოს კონსტიტუციიდან გამქრალიყო ჩანაწერი ქართულის, როგორც სახელმწიფო ენის შესახებ. ახალგაზრდებმა ისაუბრეს ენაზე ზრუნვის, ენის დაცვის აუცილებლობაზე. ქართული ენის სილამაზისადმი მიძღვნილი ქართულ პოეტთა ლექსებიც წარმოთქვეს. ღონისძიებას შინაარსი შემატა მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლის მიერ გამოცხადებულმა კალიგრაფიის კონკურსმა. ნებისმიერ მოსწავლეს შეუძლია, ენის დღესთან დაკავშირებით მისი ხელნაწერი წარმოადგინოს. ამ ნამუშევრების გამოსავლენად სივრცე მათ საგანმანათლებლო რესურს-ცენტრში დაუთმო. საგანგებო ფორმით მათგან საუკეთესოები შეარჩია და ავტორებს საგანგებო სივრცეებიც გადასცეს. გამარჯვებულთა რაოდენობით მეორე საჯარო სკოლა (დირექტორი თეა კარტოზია) გამოიჩინა, დაჯილდოვდნენ ამ სკოლის პედაგოგი ნათელა ჯიმშელიაშვილი, მოსწავლე ანასტასია შენგელია და მშობელი ნინო სრეფელი.

ახალგაზრდებს მიესალმნენ მართლმადიდებლური სკოლის ქართული ენისა და ლიტერატურის პედაგოგი ნინო ტონია, საგანმანათლებლო რესურს-ცენტრის მთავარი სპეციალისტი ალექსანდრე თევზაძე და დავით აღმაშენებლის საკათედრო ტაძრის მშენებლობის ხელმძღვანელი, ჯონი ნადირაძე.

ნინო ტონია: “ჩვენ ვხეიძობთ ენის დღესასწაულის კვირეულს, ვიხეიძობთ სახელმწიფო სტატუსის შენარჩუნების დღესასწაულს, 14 აპრილი, შაბათს, ახალი სტილით 20 მარტს არის ლაზარეს შაბათი, რომელიც აგრეთვე არის ეკლესიურად დადგენილი, როგორც ქართული ენის დღესასწაული. ამით დამოწმებულია ის სიბრძნე, რომელიც, როგორც თქვენ საუბრობდით, არის განსაკუთრებული მისიის მქონე – ამ ენაზე იქნება მეორედ მოსვლა, განვითარება, ეს არის “ქება და დიდება ქართულისა ენისა”, მაგრამ ეს არის ძალიან დიდი პასუხისმგებლობის შესახებ, არსებობს ენის შემსწავლელი უზარმაზარი მეცნიერება, მაგრამ ერთი პასუხი არ არსებობს იმაზე, რა არის ენა? რამდენი ენათმეცნიერიც არსებობს, იმდენი დეფინიციაც არსებობს, თუ არ არის ეს ფენომენი, რომელიც უფალმა მხოლოდ ადამიანს მიჰკურდა თავისი აზროვნების შესატყვისად. ეს არის ლოგოსი, რომელიც მხოლოდ ადამიანს გააჩნია, სიტყვა და აზრი არ განიყოფება, თქვენ ფიქრობთ ენაზე, ამ ურცევს ფენომენზე და ის ნაწერები, რომლებსაც ახლა ვათვალიერებ, მოწმობს, რომ გაქვთ სურვილი, ჩასწვდეთ ამ ენის წიაღს, გაიანროთ. ძველქართულად მწერალი ნიშნავს გადამწერს, გადაწერა არის უდიდესი პასუხისმგებლობა, მიახლება ანბანთან, იმ ფენომენთან, რომელიც უფლის განგებით შექმნილა ჩვენს უნივერსალურ კულტურაში. ხანდახან ქება იწვევს საამაფის განცდას, იოანე ოქრობირი ამბობს, ქებით ან ღირსების განცდით არ უნდა გადაიფაროს სიმართლე, განცდა იმისა, რომ ჩვენ გვაქვს პასუხისმგებლობა, მისია, დაუფიქრდეთ იმაზე, რა არის ქების ფენომენი, ქება მაინც ღირსებას და პასუხისმგებლობას უტოლდება. გილოცავთ ამ დღეს, გაქვთ ამ დეველიანობის, გისურვებთ ენის ღირსებით მოვლას და პატრონობას”.

ჯონი ნადირაძე: “ზოგი 5000-ს, ზოგი 8000-ს ენას ასახელებს, მაგრამ დამწერლობა 14-ია, აქედან ერთ-ერთი ჩვენია. ჩვენი კულტურის მეგობრებთან ყოფილხართ ხშირად, ვერ წავგივითხავთ ასომთავრული წარწერები, გაგიხარდებათ, თუ ამოვივითხავთ, ვისი აწერებულა ტაძარი და რომელ საუკუნეში, ძალიან მინდა, რაც დღეს ილაპარაკეთ, ეს შენით გქონდეთ, შენით ჩამარხული, ახლა იოანე ზოსიმეს სიტყვები გაიმეორეთ: “დამარხულ არს ენა ქართული”. შეიძლება, ჩვენმა თაობამ ბევრი ვერაფრის გაკეთება შეძლო, გარდა იმისა, რაც თქვენამდე მოვიტანეთ ძირითადად, სტუდენტობის და ახალგაზრდობის დამსახურებაა, რომ ძველ კონსტიტუციაში არსებული ფორმულირება დარჩა, რომ საქართველოში სახელმწიფო ენა არის ქართული. მაგრამ ამ დებულებას კარგად ვერ ვიყენებთ. ჩვენ ისეთი ერთი ვართ, არავის ვუშლით ჩვენს ტერიტორიაზე ცხოვრებას, მაგრამ ვეკლამ კეთილი ინების და ქართული ისწავლოს, სამწუხაროდ, დღეს ჩვენ პარლამენტში გვკავს და მთავრობაშიც ხალხი, ქართული რომ არ იცინოს და თავიანთ ენაზე ლაპარაკობენ, შენ გინდა, სახელმწიფო მართო და ენა არ იცოდე?”

ალექსანდრე თევზაძე: “დიდ პატივად მივიჩნევ რესურს-ცენტრში თქვენს მობრძანებას, აქ წარმოადგენილი თქვენი დღევანდელი ნამუშევრით ვარ ძალიან კმაყოფილი და მადლობას მოგახსენებ თქვენს პედაგოგებს, ქალბატონებს ტატიანა გოგუაძეს, ელიზა ანკვაძეს, ნატა ჯიქიას. გაგრძელდეს უნდა ეს თანამშრომლობა ჩვენს შორის, თქვენ ჩვენი არა მარტო აუდიტორია, არამედ ადამიანური რესურსიც უნდა დაგვითმოდ. როგორც დიდი ილია ბრძანებდა, სამი ღვთაებრივი საუნჯე გვაქვს “ მამული, ენა, სარწმუნოება”, დღევანდელი დღე მიძღვნილია ენისადმი, ამ მნიშვნელოვანი საუნჯისადმი, ეს არის საკრალური მნიშვნელობის საგანგებო და არ უნდა შევეხოთ აუგად. ზოგჯერ გაუგებდავს ხოლმე ერთი ვინმე წმინდას ხელის შეხებას, ჩვენ არ გავაპროტესტებთ ამას და მერე მიუტირით, მოუფრთხილდეთ ჩვენს ენას, თუნდაც, სოციალურ ქსელში, ნურავის ეწვიება, არ ვპასუხობ და არც კავითხულობ სხვა ენაზე და სხვა შრიფტით დაწერილს, არაფერი სხვისი მისაბაძი არ გვჭირს.”



ო, ენაჲ ჩემო

საინტერესოდ აღინიშნა ქართული ენის დღე საქართველოში, სამტრედიამში.

17 აპრილს საქალაქო საბავშვო ბიბლიოთეკიდან (ბიბლიოთეკარი დალი კვიციანი, (დედაენისადმი მიძღვნილ ღონისძიებებზე დასასწრებად, ლამაზი მოსაწვევე მივიღეთ. მეუღრო, თუმცა, ძალზე ციციქნა ოთახშია ბიბლიოთეკა განთავსებული (წერეთლის ქუჩაზე მდებარე მრავალსართულიან საცხოვრებელ კორპუსში) თუმცა, იქ მონაწილე ბავშვებთან ერთად მსმენელიც და სტუმრებიც მოვთავსდით.

კარგად გააზრებული, შეკრული მხატვრული კომპოზიცია წარმოადგინეს ბიბლიოთეკის მკითხველმა, მეორე საჯარო სკოლის მოსწავლეებმა. მას შემდეგ, რაც შეკრებილთ მიესალმა და დედაენის მნიშვნელობაზე მთავარმა მასპინძელმა, დალი კვიციანიამ ისაუბრა, ქართული დამწერლობის ისტორია, სახელოვან წინაპართა ანდერძით ნათქვამი სიტყვები გაიხსენეს პატარებმა თავიანთ გამოხატვებში და ომბახანად გვითხრეს, ენის სიწმინდეს თვალისწინებით რომ გაუფრთხილდებიან.

ღონისძიებას მადალი შეფასება მისცეს მერიის სამსახურის უფროსმა ნატალია მანჯგალაძემ, საერებლოს წევრმა ლიზა კრავიშვილმა, “სამტრედიის მაცნეს” პასუხისმგებელმა მდივანმა ლევან გაბეჩავამ, მე-2 საჯარო სკოლის დირექტორმა თეა კარტოზიამ.

ღონისძიების მონაწილენი საბიბლიოთეკო გაერთიანების დირექტორმა ლამარა დუნდუამ სივრცებით დააჯილდოვა.

მოსწავლეთა ინტელექტუალურ აღზრდაში შეტანილი წვლილისათვის სპეციალური სიგელი მე-2 საჯარო სკოლის პედაგოგს, ქალბატონ ნათელა ჯიმშელიაშვილსაც გადაეცა, რომელიც, როგორც აქ შევიტყვეთ, მხარში უდგას ბიბლიოთეკას ყოველ სასიყვითო საქმეში.

ლამაზად აღინიშნა დედაენის დღე საქალაქო საბავშვო ბიბლიოთეკაში.

ლევან გაბეჩავა



“სამტრედიის მაცნე”

ამ დღეებში გამოვიდა ჟურნალის მესამე ნომერი, რომლის მთავარი რედაქტორიც ბატონი ჯონი ნადირაძე, მეცნიერ-კონსულტანტი კი პროფესორი ბატონი ელიშერ გვენეტაძე გახლავან.

ჟურნალი მთავარი რედაქტორის სიტყვით იხსენება.

მკითხველს შეუძლია

გაეცნოს ქალბატონების: ნინო ტონიას, ზაირა გრიგოლიას, ნათელა გელეიშვილის, ნათელა ბრეგაძის, მარინა ქართველიშვილის, ნათია ნაცვლიშვილის, თეა ბაბუნაშვილის, ბატონების: ვია ბოჭორიშვილის, ვახტანგ ბახტაძის, რამაზ თელიას, ბორის ფოცხვერაშვილის, აწ განსვენებული, ბატონი ალექსანდრე (ალიოშა) ერქვანიძის, ალექსანდრე თევზაძისა და ლევან გაბეჩავას მეტად საინტერესო ნარეკვებსა და წერილებს, რომლებიც დროის სვლასთან ერთად მეტ მნიშვნელობას შეიძენენ და დიდ სამსახურს გაუწევენ ჩვენი რაიონის ისტორიის კვლევით და ინტერესებულთ, განსაკუთრებით კი მოსწავლე, სტუდენტ-ახალგაზრდობას და რაღა თქმა უნდა, აბიტურიენტებს.

შეგახსენებთ, ჟურნალის დამფუძნებლები სამტრედიის მხარეთმცოდნეობის მუზეუმის ჩამოყალიბების მხარდამჭერთა საინიციატიუო ჯგუფი და სამტრედიის მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლი არიან.

ჟურნალი გამოიცა სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერიის მხარდაჭერითა და ფინანსური დახმარებით, რისთვისაც მადლობას იმსახურებს მუნიციპალიტეტის მერი, ბატონი ვალერიანე ფოცხვერია.

ჟურნალი მადალ პოლიგრაფიულ ღონეზეა შესრულებული.

ლევან გაბეჩავა



დიდი იდეების პოლაშირა

ნათია ნაცვლიძე

მუნიციპალიტეტის ცენტრში მდებარე ბიბლიოთეკა ეროვნული მოძრაობის იდეებით გულანთბულ სამტრედიელთა თავშესაფრის მთავარი ადგილი იყო. კანონიერი ხელისუფლების დამხობამ და ძმთა შორის დაპირისპირებამაც ვერ შეარყია ეს ეროვნული ცენტრული. ეს დრამატული ისტორიები მრავლად გაიხსენეს ზვიად გამსახურდიას 80 წლის საიუბილეო საღამოზე.

ბიბლიოთეკის დირექტორმა, ლამარა დუნდუაძემ მოვლედ ისაუბრა ზვიად გამსახურდიას საქვეურო ღვაწლზე და სიტყვა მთავარ მომხსენებელს, "სამტრედიის მაცნეს" პასუხისმგებელ მდივანს, ლევან გაბეჩავას გადასცა.

ლევან გაბეჩავა: "102 წელი გასული იყო ილიას დაბადებიდან, როცა ქართველი კლასიკოსის, კონსტანტინე გამსახურდიას ოჯახში ძე დაიბადა, არაფერ იცოდა, თუ ის საბუნდოვანად, მეოცე საუკუნეს მოეწონებოდა ეროვნულ მოღვაწედ. მწერალი, პოეტი, მთარგმნელი, რუსთველოლოგი, სახელმწიფო მოღვაწე... ზვიად გამსახურდიას თავისუფლად შეეძლო, ბოჰემურად ეცხოვრა, მაგრამ ბრძოლის გზა აირჩია... ამერიკის პრეზიდენტი, ჯორჯ ბუში მოგვიანებით მის შესახებ იტყვის, გამსახურდია დინების საწინააღმდეგოდ მიდისო. ისტორიამ ასევე შემოინახა გამსახურდიას პასუხი ბუშისადმი: "დინებას მკვლარი თევზები მიჰყვებიანო", საბჭოთა სისტემის დროს, დინების საწინააღმდეგოდ გველო, არ იყო ადვილი. ზვიადისა და მერაბის, ამ ორი უდიდესი ფიგურის ღვაწლის გარეშე წარმოუდგენელია ეროვნული მოძრაობა. ის იყო პირველი პრეზიდენტი, პირველი რეფერენდუმი საბჭოთა კავშირის პირობებში მან ჩაატარა, ასევე პირველი მრავალპარტიული არჩევნები. მამის ნაზრევი საკუთარ თავზე აუხდა ზვიადის: "თუ ჩვენში დიდი კაცი გამოგვერია, ისე დაეკორტნით, როგორც დაკოდილ ძერას ყვავები"... გამომავლელმა სიტყვის დასასრულს, აღნიშნა: "1907 წელს, როდესაც ილია მუხანათურად მოკლეს, ვერავინ წარმოიდგენდა, თუ ოდესმე მას წმინდანად შერაცხავდნენ, მა-

რამიშვილი მარიამი, ჯანელიძე ცისია, კანდელაკი ანაბელი, ძიძიგური ბარბარე, ნიკურაძე ნიკოლოზი და კიკვაძე ირაკლი. უნდა აღინიშნოს, რომ კარგად იყო შეჩვენებული ტექსტები, რომლებიც ზვიად გამსახურდიას, როგორც პიროვნებას და როგორც მოღვაწეს წარმოაჩენდნენ. გაიხსენეს, როგორ ზრდიდა დიდი კონსტანტინე თავის ძეს "დიდი იდეების მოლაშქრედ", როგორი მორწმუნე იყო პრეზიდენტი, როგორი თავმდაბალი. პრეზიდენტობისას თურმე, ერთ დღეს მდივანს დაუბარა, დღეს ჩემი უფროსი მოდიხარ. ეს "უფროსი" ლიტერატურის ინსტიტუტის დირექტორი იყო. პრეზიდენტი სტუმარს ოთახის კართან შეეგება, როგორც ინსტიტუტის რიგითი თანამშრომელი. პრეზიდენტის მდივანმა კი ვერ გაიგო, ვინ შეიძლება ფიცილიყო პრეზიდენტის უფროსი... მოსწავლეებმა ემოციურად წაეითხეს გამსახურდიასადმი მიძღვნილი ლექსები, მერაბ კოსტავას ლექსი ზვიადისადმი, ასევე ზვიადის მიერ თარგმნილი უცხოური პოეზია. ეს მასალა მოსწავლეებს სამკითხველო დარბაზის მთავარმა ბიბლიოთეკარმა, რუსულან კახიანიამ შეურჩია, იგი ასევე მოხსენებით წარსდგა აუდიტორიის წინაშე. ასევე აქტიურად მონაწილეობდა ღონისძიების მომზადებაში ბიბლიოთეკის ანალიტიკური დეპარტამენტის ხელმძღვანელი, იზაბელა ლეგაშვილი. შეხვედრის მონაწილეებმა გაიხსენეს 1992 წელს, სამტრედიის, ზვიად გამსახურდიას ჩამოსვლა, წაივითხეს გოგი ტონიას ლექსი, რომელიც იმ ემოციურ დღეს აცო-

რინა ვარდანიძე) და ანსამბლ "ჩანგის" (ხელმძღვანელი მერი ტკეცვიტია) მოსწავლეებმა და სოსო ვეზდენმა. ამ ნიჭიერმა ახალგაზრდამ საკუთარი ლექსიც წაიკითხა. ემოციური იყო ჯონი ნადირაძის, ეროვნული მოძრაობის გამორჩეული წარმომადგენლის, წმინდა დავით აღმაშენებლის სახელობის საკათედრო ტაძრის მშენებლობის ორგანიზატორის გამოსვლა. მან საუბარი იმით დაიწყო, რომ უკვე 26-ედ წავედნენ იმ გაუკაცუების საფლავებზე, ვინც ეროვნული მოძრაობის და შემდგომ წლებში ქვეყნისათვის დაიღუპნენ. ავთო ადგიშვილის მანქანა გაიხსენა, იმ მანქანით მთელი ეროვნული მოძრაობა მოძრაობდა. ილაპარაკა ზვიად გამსახურდიას, როგორც დისიდენტის, პრეზიდენტისა და მოწამის ღვაწლზე და დასძინა, რომ ზვიად გამსახურდიას მოძღვრება ესაა ქვეყნის გადარჩენის მოძღვრება. მან მადლობა გადაუხადა ბიბლიოთეკას არა მარტო ამ საინტერესო ღონისძიების, არამედ იმის გამოც, რომ სამკითხველო დარბაზში ეროვნული გმირის, ზვიად გამსახურდიას სურათი, სტენდებზე კი ეროვნული მოძრაობის ამსახველი მასალა გამოფენილი.

პრეზიდენტისადმი მიძღვნილი საუკეთესო ლექსი წაიკითხა პოეტმა, მაყვალა ჩირაგაძემ. ისიღორე ჯანელიძემ დასვა საკითხი, მუნიციპალიტეტის ბიბლიოთეკის კვლევა ეწოდოს ზვიად გამსახურდიას სახელი, მან ისიც გაიხსენა, რომ შესაბამისი წარწერით არა ბიბლიოთეკას წა-



რსულში ამშვენებდა. დარბაზს გააცნეს სამტრედიის დირექტორი ქალბატონის, ზაირა გრიგოლიას წერილობითი გზავნილი, სადაც ის შეკრებილთ გამსახურდიას იუბილეს ულოცავდა და წიგნიერ საქართველოში ცხოვრებას უსურვებდა.

დარბაზში იმყოფებოდა პირველი მრავალპარტიული არჩევნების შედეგად ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებში მოსული საერებულოს წევრი და ქალაქის საერებულოს თავმჯდომარე, ბეჟან გოგია. მან თბილად გაიხსენა, რომ სამჯერ მოუხდა სატელეფონო საუბარი საქართველოს პრეზიდენტთან, ერთხელ რაჭაში მომხდარი მიწისძვრის, მეორედ, თემურ ქორიძის მამის გარდაცვალების, მესამედ კი, სამტრედიის ადმინისტრაციულ შენობაში ხანძრის გაჩენის დროს. ზვიად გამსახურდიას ღვაწლსა და ეროვნული დამოუკიდებლობის მოპოვებაში უდიდეს დამსახურებაზე ისაუბრა მუნიციპალიტეტის საერებულოს თავ-

მცხვრის ლევან გაბეჩავამ ის მძიმე პერიოდს გაიხსენა, როცა 1993 წელს რამდენიმე დღით აღდგა საქართველოში ზვიად გამსახურდიას ხელისუფლება, გაზეთმა ფაქტის კონსტანტაცია მოახდინა და ამბავი გააშუქა, ამას კი თანამშრომელთა სამართალდამცავ ორგანოებთან დაბარება და ერთ დღეს, ერთ საათში ყველა ჟურნალისტის განცხადების დაწერა მოჰყვა. პირადი თხოვნის საფუძველზე, სამსახურიდან გათავისუფლების თაობაზე. რომ არა იმჟამინდელი რაიონის ინტელიგენტების, გენო გეგეშვიძის, ოთარ შანიძის, შალვა გოგავას, ოთარ კაცაძისა და სხვათა აქტიური მხარდაჭერა, გაზეთი, ალბათ, დაიხურებოდა. საღამო მუსიკალურად გააფორმეს ქალთა ანსამბლ "ათინათის" (ხელმძღვანელი მა-



მჯდომარის მოადგილე, კობა ძიძიგურმა. მან მადლობა გადაუხადა ბიბლიოთეკის თანამშრომლებს იმისათვის, რომ ყოველთვის უკვლავყოფენ ზვიად გამსახურდიასა და მერაბ კოსტავას ხსოვნას. ასევე მადლობა გადაუხადა ღონისძიების მონაწილე ახალგაზრდებს. მადლიერების სიტყვები არც "სამტრედიის მაცნესადმი" დაიშურა იმის გამო, რომ გაზეთში საგანგებო რუბრიკის ქვეშ ვიხსენებთ ეროვნულ მოძრაობას და ღვაწლმოსილ ადამიანებს. ბიბლიოთეკის

თანამშრომლებისადმი მადლობა არ დაიშურა საგანმანათლებლო რესურსცენტრის უფროსმა სპეციალისტმა, ალექსანდრე თევზაძემ. მან ხაზი გაუსვა, რომ უდიდესი მნიშვნელობა აქვს ზვიად გამსახურდიას სახელის ახალი თაობისათვის გაცნობას და საფუძვლიან გააზრებას. საღამოს დასასრულს, ლამარა დუნდუაძემ მადლობა გადაუხადა სტუმრებს, ღონისძიების ყველა მონაწილეს და ბიბლიოთეკის ყველა თანამშრომელს.



ემიგრანტი რუსიების მრავალშვილიან ოჯახს ეხმარებიან

ანდრია საზღვარგარეთ მცხოვრები ემიგრანტის, მარი ზერეკიძის, შვილიშვილია. როცა ბებო რუსიების ოჯახისთვის ამანათს ამზადებდა, გადაწყვიტა, თუთიყუში ბავშვებისთვის პერსონალურად მას გაეგზავნა.

რუსიების მრავალშვილიან ოჯახში ემიგრანტების მარი ზერეკიძისა და თამარ მიქელაძის მიერ საზღვარგარეთიდან გამოგზავნილი ტვირთი სამტრედიის მიხეილ მეტრეველმა ჩამოიტანა. ომის ვეტერანი დეკანოზ ათანასესთან წარსულში ურთიერთობას იხსენებს და ამბობს, რომ მამოსაგან მან ბევრი კარგი რამ ისწავლა, მათ შორის სიკეთე და სიყვარული.

მარი ზერეკიძე და თამარ მიქელაძე “ემიგრანტი დედები საქართველოს მომავლისთვის” ფონდის წევრები და შემომწირველები არიან. საქართველოდან უცხოეთში თავიანთი ოჯახების გადასარჩენად სამუშაოდ გამგზავრებული დედები ქვეყანაში დარჩენილი თანამემამულეების გასაძლიერებლად ქველმოქმედებას ეწევიან. ამჯერად მათი ზრუნვის ობიექტი დეკანოზი ათანასე (რუსხაძის) მრავალშვილიანი ოჯახი აღმოჩნდა.

ფონდის სურვილი აქვს, აუტისტური სპექტრის ბავშვებს, ასევე საოკუპაციო ზონის მცხოვრებ მრავალშვილიან ოჯახებს, ბავშვებს, ომისა და თავდაცვის ძალების ვეტერანთა მრავალშვილიან ოჯახებს დახმარების ხელი გაუწოდონ.

ტანსაცმელი, ფეხსაცმელი, საკვები პროდუქტები, ტკბილეული, ბავშვები ყველაზე მეტად სათანამშობმ გაახარეს. სამყაროში კეთილი ადამიანები, რომ არ დაიღვივან, ამაში მამა ათანასეს ოჯახის წევრები დარწმუნებულები არიან. დეკანოზი ათანასეს დედა მრევლისგან უდიდეს ყურადღებას მუდმივად გრძნობს, თუმცა, ემიგრანტი დედების საჩუქრის მიღება ემოციის გარეშე მინც ვერ შესძლო.

სამტრედიის ფერისცვალების სახელობის ტაძრის მოძღვარი მამა ათანასე, 6 თვეა, რაც ჩვენს შორის აღარ არის. მას ახალგაზრდა მეუღლე და რვა მცირეწლოვანი შვილი დარჩა, მათგან ყველაზე უფროსი 15 წლისაა, ყველაზე უმცროსი – ერთი წლის.

6060 ნახტავი



“ჯეო ჰოსპიტალსმა” ვიტალი ჯვარშიშვილს სიცოცხლის ხალისი დაუბრუნა

ვიტალი ჯვარშიშვილმა 54 წლის წინ მიიღო საყოფაცხოვრებო ტრავმა, რის შედეგადაც სახსარზე ჩატარებული ჰქონდა ოპერაციული მკურნალობა. მენჯ-ბარძაყის სახსრის მადეფორმირებული ოსტეოართროზის ძირითადი სიმპტომები ავადმყოფს ექიმთან მისვლას აიძულებდა: ტკივილის მუდმივი ხასიათი, სახსარში მოძრაობის შეზღუდვა, შრომის უნარის დაქვეითება, ჯდომის პრობლემა, მკვეთრად გამოხატული კოჭლობა, კიდურის დამოკლება, დაახლოებით, 7-8 სანტიმეტრით და კუნთების ატროფია. კონსერვატიული მკურნალობა, ფაქტობრივად, უშედეგო აღმოჩნდა.



პაციენტმა მიმართა რამდენიმე კლინიკას, მაგრამ, ოპერაციული მკურნალობის ღირებულებიდან გამომდინარე, ვერ შეძლო მკურნალობის ჩატარება.

ვიტალი ჯვარშიშვილმა შეიტყო რა მათ სოფელში “ჯეო ჰოსპიტალსის” აქციის შესახებ, მიმართა ტრავმატოლოგს და გაარკვია, იგივე მცურელობის ოპერაციები წარმატებით ტარდებოდა სამტრედიის მრავალპროფილურ სამედიცინო ცენტრში მაღალკვალიფიციური სპეციალისტების მიერ და ამასთან ოპერაციის ღირებულება თითქმის 50%-ით იაფად იყო შეფასებული.

ვიტალი ჯვარშიშვილმა 30 მარტს უფასო სამედიცინო აქციის დროს მიიღო გადაწყვეტილება ოპერაციული მკურნალობის შესახებ, მოიპოვა დაფინანსებაც ადგილობრივი თვითმმართველობის მიერ. 8 აპრილს ჩატარდა ოპერაცია. ახალგაზრდა ორთოპედ-ტრავმატოლოგებმა, გიორგი ფუტყარაძემ და ლევან ჩოგვაძემ მარცხენა მენჯ-ბარძაყის სახსრის ენდოპროთეზირება წარმატებით განახორციელეს.

10 აპრილს ვიტალი ჯვარშიშვილმა მკურნალი ექიმების დახმარებით პირველი ნაბიჯები ტკივილის გარეშე გადადგა. “ჯეო ჰოსპიტალსის” სამედიცინო ცენტრში იანუელის პაციენტის მოსანახულებლად მუნიციპალიტეტის მერი ვალერიანე ფოცხვერია მივიდა.

6060 ნახტავი



ერთი კარგი ქართული ოჯახის შესახებ

რედაქციაში ქალბატონი მედეა გაბედავა გვეწვია და გვთხოვა, ჩვენს ქალაქში მცხოვრები ერთი ტრადიციული ქართული ოჯახის შესახებ მოგვეთხრო. ოჯახისა, რომლის წევრებს დიდი და ძლიერი სიყვარული აკავშირებთ. რეინიგზელი ნეკოლოზ დეკანოზის ოჯახში 4 შვილი აღიზარდა: ტიტე, თენგიზი, ციალა და რომანი. მერე შვილები ცხოვრების გზებზე გაიფანტნენ, ტიტე პროფესიით ელექტროინჟინერია, წლების წინ, დედაქალაქში საკმაოდ მაღალი თანამდებობა ეკავა, ამჟამად თბილისში ცხოვრობს. მისი შვილებიც წარმატებული ადამიანები არიან, მანანა ტურთაშვილის დეპარტამენტის უფროსის მოადგილეა, მეორე ქალიშვილი ნათელა კი ბუღალტერია. თენგიზი შვილებითა და შვილიშვილებით რუსეთშია, 10 წელიწადში ერთხელ სტუმრობს საყვარელ სამშობლოს, ახლობლებს, მას ახლახან 82 წელი შეუსრულდა. ბატონი თენგიზი მის ასევე ხანდაზმულ მეუღლესთან, თამარა ტარასიუკთან ერთად, რომელიც საქართველოზე უსაზღვროდაა შეყვარებული, სამშობლოს საიდუმლოდ ეწვია და დიდი ხნის უნახავი ნათესავებიც მოინახულა. სამ ძმას ერთი და ჰყავთ, ქალბატონი ციალა 85 წლისაა. ის წლების განმავლობაში ილორის მეფრინველეობის ფაბრიკაში მუშაობდა, იყო საქალაქო საბჭოს დეპუტატი, ახლა თავის ჯაფაში გაღებულ, ნაოჭიან ხელებს დაჰყურებს და წუნს, რომ მეუღლესთან შრომა აღარ შეუძლია. შვილიშვილების და შვილიშვილების გარემოცვაში ბედნიერად ცხოვრობს, თავისი ჯანმრთელობის საიდუმლოს გვიმხელს და ამბობს, შრომა ადამიანს ენერჯის უნარჩუნებს. ქალბატონი მედეა სწორედ ციალა დეკანოზის რძალია, ის მოხიბლულია თავისი მეუღლის ნათესავებით და მათ ურთიერთობას სამაგალითოდ მიიჩნევს. უმცროსი ვაჟიშვილი რომან დეკანოზი, ის წლების განმავლობაში მეორე სოლაში მუსიკას ასწავლიდა, მუსიკის პედაგოგია მისი მეუღლე დალი გვარამია. მათ ორი შვილი ჰყავთ დავითი ეკონომისტი, ემზარი კი იურისტი, პროფესიით არც ერთი არ მუშაობს, ერთი სახლებს არემონტებს, ხოლო მეორე ზუგდიდში ეკლესიას აჩუქებენ. სწორედ მათ ოჯახში შეგვირბნენ დეკანოზები და იუბილარ ძმას 82 წლის შესრულება მიულოცეს. იუბილარს საუბარი არ უყვარს, მისი მეუღლე თამარა ტარასიუკი გვეუბნება, რომ მათ 18 შვილიშვილი და 8 შვილიშვილი ჰყავთ. ყველანი წარმატებული ადამიანები არიან. – “ძალიან მიყვარს სამტრედი, ბოლოს აქედან შვიდი წლის წინ წავიდი, ქართული სამზარეულო ძალიან მიყვარს, სულ ქართულ საჭმელებს ვამზადებ, მიყვარს ეს ოჯახი, სადაც თავშეყრის და გამაერთიანებლის მისიას საიმოვნებით ვლტულობ ჩემს თავზე.” – გვეუბნება ქალბატონი თამარა.

6060 ნახტავი



"... სიყვარულია, ჯობია, ის რომელიც"

ნათია ნაცვლიძე

ეს ის გრძობაა, თარიღის დაწესებას რომ უკადრებო, რა თარიღი, რის თარიღი, ბატონებო, ყოველი დღე სიყვარულისა... მაინც იჯიუტა ერთი ჟურნალისტმა, 15 აპრილი, საკუთარი დაბადების დღე სიყვარულის დღედ გამოაცხადა... ამ დღეს მიემდვნა მესამე საჯარო სკოლაში ძალიან ლამაზი ღონისძიება. სასკოლო სცენა მათე ბ კლასის 24-მა მოსწავლემ დაიპყრო.

ამ ასაკში ხომ განსხვავებულად კითხულობენ თინეიჯერები ქართული სატრფიალო ლირიკის მარგალიტებს, კლასიკოსი მწერლების რომანებს, უკვდავი გოდერძი ჩოხელით შთაბეჭდილ განსაზღვრებას სიყვარულისას, სხვა დღე-ღამეებით წარმოსთქვამენ მარად გაუხუნარ ფრაზებს "დიდოსტატის მარჯვენებიდან": "ან თუ ღმერთია სადმე ამქვეყნად, სიყვარულია ალბათ ის ღმერთიც"... თუ სიყვარული ღმერთი ყოფილა, შენა ხარ ჩემი სიყვარული და ღმერთი თავად"

როგორი იყო ეს გრძობა პრეისტორიული ხანის ადამიანისთვის? ამ კითხვებზე პასუხი ჯერჯერობით მოთხრობს

საინტერესო ინტერვიუს ფორმით წარმოადგინეს გოდერძი ჩოხელის "ცხრა შეკითხვა სიყვარულზე". წაიკითხეს ტარიელ ხერხელაურის უკვდავი სტროფები "მანძილი შენადმი დიდა", არც თანამედროვე ავტორების სასიყვარულო

რეორგანიზებული ანსამბლის წევრი და ასევე მუსიკალური სკოლის მოსწავლე, ბავშვებმა ძალიან დახვეწილი და საინტერესო მუსიკალური ნომრები წარმოადგინეს, ასევე შესანიშნავად შეასრულეს ცეკვები ლაზური და დავლური.



ტანგოს პანგებს პედაგოგებიც აჟღერებენ და საღამო ლამაზად დაასრულეს. მოსწავლეებმა მადლობა გადაუხადეს საღამოს მთავარ შემოქმედს, დამრიგებელს, ქართული ენისა და ლიტერატურის პედაგოგს, ფიქრია მსხილაძეს. მასაც და მოსწავლეებსაც ასევე მადლობა გადაუხადა სკოლის დირექტორმა, ვენერა ივანიშვილმა და მიმართა: "სიცოცხლის ბოლომდე შეყვარებულები ყოფილიყავით, ყველაფერს საუკეთესოს გისურვებთ!"

წიგნთან მოსწავლეების მისაყვანად მსგავსი ღონისძიება არის თუა არა საჭირო? - ამ კითხვით მივმართეთ სკოლის დირექტორს. ვენერა ივანიშვილი: "ვეფიქრობ, რაც ნახეთ და მოისმინეთ, გვარწმუნებს წიგნთან ამ ბავშვების კარგ ურთიერთობაზე, ყველა თაობას ახასიათებს წიგნიდან მოწყვეტის პერიოდი, მაგრამ წიგნი რომ არა, ეს ღონის-

ობით "იგი" და პანტომიმის დახმარებით გასცეს. გააცოცხლეს სასიყვარულო დიალოგები ნოდარ დუმბაძის "კუკარაჩიან", გააღერეს ემოციური და ფილოსოფიური განსაზღვრება ელდარ შენგელიას "შერეკილებიდან" - სიყვარული ვერტიკალურია და თანაც ბრუნვადი!... ხალისი და სევდა ერთდროულად მოკვდარა დარბაზს სცენამ საუქტალიდან "ბებრები", მოსწავლეები მსახიობებად გარდასახნენ, შესანიშნავი სანახაობა წარმოადგინეს. აქვე არიან ხატიაც და სოსოც კინოფილმიდან "მე ვხედავ მზეს", ხელჩაიდებული ხატია კვლავ უმეორებს სოსოიას "მზეს ვხედავ სოსოა და შენ"... ქართული ღონისძიების კოდექსი უკვდავია, სცენა ფილმიდან "ტიფლისი" - მიჯნურის ღონისძიების დამცველი მამაკაცი მტერს ტყვიით უსწორდება... საბრალო ფუფალაც აქ არის, მასზე მოჭორიენე დედაცაც კვლავ პირში ახლი-



ძიება არ შედეგობდა, წიგნიდან ვსწავლობთ სიკეთეს, სიყვარულს და ყველაფერს კარგს, რაც ცხოვრებაში უნდა განვახორციელოთ, ვისურვებდი, ამ თაობამ ბევრი ისეთი წიგნი წაიკითხო, უფრო მეტი სიყვარული იყოს მათში და მეტი სიკეთის და ქველმოქმედების სურვილი გაუჩნდეთ."

ჟურნალისტმა იმედა გოგავამ მშობლის ამბლუში მოგვცა კომენტარი: "ზოგადედ პოზიტიურად შეგაფასებ დღევანდელ ღონისძიებას, მასწავლებლის მცდელობამ შედეგი გამოიღო და სხვა კუთხით დაანახა მოსწავლეებს ეს ლამაზი სამყარო, იმედი მაქვს, კიდევ გაამრავალფეროვნებენ პედაგოგები ამ ბავშვების ცხოვრებას და სწავლასთან ერთად ყველაზე საჭირობო საკითხებზეც ექნებათ საუბარი, მჯერა ეს ახალგაზრდები ღირსეული მოქალაქეები იქნებიან!"

ან: "ბროწეულის ყვავილივით იყავი, ახლა კი, ბუსა გავხარ" და ისიც "გადმოალაგებს" ისტორიის სივრდიდან გამოვლილი შილას გულისმომკვლელ ისტორიებს..

ლექსები დაეწიწიათ. სიცელი და დაღვებითი მუხტი მოგვარა დარბაზს ფილმიდან "სიყვარული ყველას უნდა" წარმოდგენილმა ეპიზოდებმა. რადგან ამ მოსწავლეთა შორის ბევრია სხვადასხვა ქო-

თამაზ დუნდუას უკვდავსაყოფად

სრული ანშლავით ჩატარდა კონცერტი სამტრედიის მუნიციპალიტეტის ეროსი მანჯგალაძის სახელობის კულტურის ცენტრში. მამურობის წინაშე ცენტრთან არსებული დიდი ისტორიის მქონე ბავშვთა ვოკალური ანსამბლი "იმედი" წარსდგა. ალექსანდრე ბასილაიას მიუზიკლის "ჩხიკვათა ქორწილი" "იმედის" მე-5 თაობამ განახლებული რეპერტუარი მეექვსედ აჩვენა.

2019 წლის 12 აპრილს, არა მარტო სამტრედიელებისთვის, სრულიად საქართველოსთვის დიდ მასტროს, თამაზ დუნდუას, 70 წელი შეუსრულდებოდა. თითქმის 3 ათეული წელია, თამაზ დუნდუას მონატრება კლავს მისი შემოქმედების თავგანისმცემლებს. ბავშვთა ვოკალურ-ინსტრუმენტალური ანსამბლ "იმედის" სულისჩამდგმელი და ხელმძღვანელი იმ დროს წავიდა ამქვეყნიდან, როცა მისი ნიჭი და შესაძლებლობები ყველაზე მეტად სჭირდებოდა მშობლიურ ქალაქს, სამტრედიას და მომავალ თაობას. მან მრავალი ახალგაზრდა აზიარა მუსიკის ხელოვნებას, მისი ხელმძღვანელობით "იმედის" სამი თაობა დაფორთიანდა. ამ გზას ღირსეულად აგრძელებს მისი აღზრდილი და შეილობილი, ანა აბზიანიძე. სამტრედიელებისათ-



ვის საკმაოდ კარგად ცნობილმა ვოკალისტმა დიდი მასტროს სახელის უკვდავსაყოფად 1994 წლიდან გააგრძელა თამაზ დუნდუას დაწესებული საქმე და ვოკალური ანსამბლს სათავეში ჩაუდგა. მოიხიდა სამტრედიელი ნიჭიერი ახალგაზრდები და გააცოცხლა მასტროსეული პიტაქვეული სიმღერები.

"იმედის" მე-5 თაობამ თამაზი განაცხადი გააკეთა, როცა მამურობელი თავისი პატარა მომღერლების მონაწილეობით დადგმული მიუზიკლის, "ჩხიკვათა ქორწილის" პრემიერაზე მიიწვია. მას შემდეგ 5 წელი გავიდა და იმავე თაობის მონაწილეობით საუქტალი განახლებული რეპერტუარით აქტუალობას არ კარგავს.

მამურობელი მხურვალე აპოლოდისმენტებითა და შეძახილებით მადლობას უხდოდა ანსამბლს იმ საამოვნებისათვის, რაც მათ 15 აპრილს - სიყვარულის დღეს მიიღეს. მომღერლები, რომლებიც თავიანთ როლებს 10-13 წლიდან ირგებენ და დღეს უკვე 15-18 წლისაა არიან, მეტი სცენურები და დახვეწილები წარსდგნენ დღევანდელი პუბლიკის წინაშე. ნამდვილი ჩხიკვაბი ზაქარია და ქეთევანი, მეფე-არწივი და ჩხიკვი თომა, ბუ, წრუწუნა, ჭორიკანა კაჭკაჭები, ტყის მხიარული ბინადარი ჩხიკვაბი და ყველაზე გამორჩეული პერსონაჟი ყვავი-ყვანაღა, რომელიც საზოგადოებას გამოსასწორებლად გადაეცა.

საექტაქლამა დიდი რეზონანსი გამოიწვია: იმერეთის რამდენიმე მუნიციპალიტეტიდან ანსამბლმა მიწვევა მიიღო. "იმედის" 18 და 19 აპრილს წარსდგნენ ხონისა და ვანის მოსახლეობის წინაშე. მეზობელი მუნიციპალიტეტების მამურობებმა გულში ჩაიკრა ანსამბლის ყველა წევრი და აღფრთოვანება ვერ დამალა სამტრედიელი "ჩხიკვათა ქორწილი" მიღებული საამოვნებისაგან.

ანა აბზიანიძე, ანსამბლ "იმედის" ხელმძღვანელი: "ერთადერთი, რისი თქმაც მინდა, ის არის, რომ სამტრედიამ აუცილებლად უნდა გაცოცხლდეს თამაზ დუნდუას სახელი. რაც ნიშნავს იმას, რომ ერთი დღე სამტრედიამ თქვენთან ერთად იმედინად ანსამბლმა საქველმოქმედო კონცერტი უნდა გააკეთოს, რომლის დროსაც შემოსული თანხით დიდი მასტროს განსასვენებელი განახლდება".

ნათია ნაცვლიძე



წყალი სიცოცხლის წყაროა – მეოთხებადელთა პროექტი

ნათია ნაცვლიძე

სამტრედიის მეოთხე ბაგა-ბაღში ტრადიციულ დაამკვიდრეს, მნიშვნელოვან თარიღებს საინტერესო პროექტებით გამოეხმაურნ. ასეთი პროექტის



ოქტის “წყალი სიცოცხლის წყაროა” პრევენციული მოეწყო ბაგა-ბაღის ეზოში. მასშტაბურიდან გამომდინარე, პროექტს დამსწრე და შემფასებელი არ აკლდა. 22 მარტი მსოფლიოს წყლის რესურსების დაცვის საერთაშორისო დღეა, თარიღი 1993 წელს დააარსა გაეროს გენერალურმა ასამბლეამ. იგი საქართველოში 2014 წლიდან აღინიშნება. ამ ყველაფრის შესახებ პედაგოგებმა გვიამბეს და თავიანთ პატარებთან ერთად შეეცადნენ, ინტელექტით დატვირთული და თვალსაჩინოებებით გაჯერებული სანახაობა შემოეთავაზებინათ. ნიჭისა და ფანტაზიის წყალობით, რესურსები თავადვე შექმნეს, ეზო ულამაზესად მორთეს. ღონისძიება ენერჯიულმა და კრეატიულმა ბაღის მმართველმა, ნანა დუნდუამ გახსნა და ასპარეზი ნიჭიერ პატარებს დაუთმო.

პროექტის პრევენციაციაში სამი მასწავლებლის სამი სააღმზრდელო ჯგუფი მონაწილეობდა, პედაგოგებმა თავიანთი პატარები საგანგებოდ მორთულ კუთხეებთან გამოიყვანეს. პროექტი სამი ნაწილისაგან შედგებოდა, ერთ-ერთი კომპონენტი ასეთი სახელწოდებისა იყო: “წყლის წვეთის მოგზაურობა”. ამ თემაზე ლექსით, სიმღერითა და თემატური ცოდნით აღსავსე სანახაობა ნანა ლეკვეიშვილის პატარებმა წარმოადგინეს. მეორე კომპონენტი “წყალი და ენერჯიულაშოკელობა” მაკა ჯანელიძემ და მისმა პატარებმა იმუშავეს. “წყლის ტრანსპორტი” კი, მარინა კაკაბაძის და მისი პატარების შემოქმედებითი ძიების წყარო გახ-

და. კითხვა-პასუხის რეჟიმში ბავშვებმა გამოავლინეს ცოდნა საქართველოს წყლის რესურსების, ბუნებრივი პირობების, გარემოზე ზიანის შემცირების თემებზე. მათ კარგად იცინ, რომ წყალი დედამიწის ზე-

გამოუხატა მუნიციპალიტეტის მერმა, ვალერიანე ფოცხვერიამ. პროფესიით ფიზიკოსმა, საკრებულოს თავმჯდომარემ, ნუგზარ ჯამბურამ ჩვენთან საუბარში აღნიშნა: “ეს არის ჩვენი საიმედო მომავალი, ამ პატარებმა, შესანიშნავი პროექტი წარმოადგინეს, ეს ღირსეული განხორციელება საუკეთესო ჩანაფიქრისა. მაღლობა მათ, აღმზრდელებს, მმართველს ამ, მართლაც, დაუვიწყარი დღისათვის”. განსაკუთრებული მაღლობა ხელისუფლების წარმომადგენლებს გადაუხადა ნანა დუნდუამ და დაგვემშვიდობა პეტრე გრუშინის ლექსით სამტრედიის, რომელშიც წყალს მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს:

“სიყვარულით სახსე ამ პატარა მინდორს, ზოგჯერ ამინდიანს, ზოგჯერ უამინდოს, ჩემი სამტრედია რატომ მიყვარს ასე და რა ფიქრი მიაქვს ნაცნობ რყინივანზე? თბილისიდან რიკოს გადმოსული ღიბით, აჯამეთის ტყით და მუხიანის იქით, გუბისწყალიც კრძალვით ეფერება რიონს, ცხენისწყალიც გუბე უნდა გაარდვიოს, ჭურთავა ბანს აძლევს წყნარად, იქვე ახლოს – ჩემი სამტ-

აპირის ორ მესამედ პროცენტს შეადგენს, ჩვენი ქვეყანა ზომიერ სარტყელში მდებარეობს, იცინ ჩვენი უნიკალური მინერალური წყლების დასახელებები და მსოფლიოში არსებული წყლის ტრანსპორტის სახეობები, მათი ინტერესის მიღმა არც



სამტრედიის გოგირდიანი წყლები დარჩენილა, გოგირდიანი წყალი ჩვენთანაც მოედინებაო, გვითხრეს სიამაყით. წყალზე, წვიმზე, თოვლსა და მზის სხივზე ულამაზესი სიმღერები შეასრულეს, შესანიშნავად იცეკვეს და საგანგებოდ მოწყობილი გემბანიდან აღექსანდრე ბასილიას უკვდავი “არგოს” მოტივებზე დაგვემშვიდობნენ. ბაგა-ბაღის მეთოდისტები მარინა ბაღდავაძე და მარინა ქოჩოვი ძალიან დედადუნენ, თუმცა, მათ, ისევე როგორც მმართველმა და პედაგოგებმა, უამრავი კომპლიმენტი მიიღეს საინტერესო პროექტის პრევენციაციისათვის.

ბავშვებს ეწვია და მხარდაჭერა

რედია, ჩემი სამოსახლო”.

ლიზა კრავიშვილი, მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი: მართლაც ძალიან ბევრი კარგი ბაღია, მაგრამ განსაკუთრებული დამოკიდებულება მაქვს ამ კოლექტივისადმი, ყველას მოგესალმებით, მაღლობა ამ ღონისძიებისათვის და გისურვებთ, მალე უკეთეს შენობაში ჩაგეტარებინოთ მსგავსი ღონისძიებები”.

სოლამდელი აღზრდის დაწესებულებათა გაერთიანების უფროსი, ხათუნა გაგუა: “მართლაც, არაჩვეულებრივი დღეა, ეს წარდგინება 22 მარტს უნდა გაგვემართა, მაგრამ, უამინდობის გამო გადავდეთ, ეს ლამაზი სანახაობა უნდა ენახა საზოგადოებას. დღეს ჩვენ გვესწრებიან მუნიციპალიტეტის რამდენიმე ბაგა-ბაღის მეთოდისტები, მმართველები, აღმზრდელები... ყველა რესურსი თავად შექმნეს ამ პედაგოგებმა და ბავშვებმა. გამოიყენეს ქალაქი, პლასტმასის ბოთლები და სხვა. ერთადერთი რამაც თანხა დახარჯეს, ფორმებია, მშობლებმა უფომანოდ შეუკერეს ახალი სამოსი შეიღებეს. მაღლობა მეთოდისტებს, მმართველს, ბავშვებს და მშობლებს ამ ულამაზეს ღონისძიებაში მონაწილეობისათვის, ასევე სტუმრებს მობრძანებისათვის.”



საიუბილეოდ

ქველმოქმედი გენერალი



ყველაზე რთულ პერიოდში, გასული საუკუნის 90-იან წლებში მოვევლინა მშველელად "სამტრედიის მაცნეს" და მის რედაქციას ღირსეული სამტრედიელი, საინჟინრო და ეროვნული აკადემიების წევრი, მაშინ ფორმა "საიმედოს" პრეზიდენტი, მეორე მსოფლიო ომის აქტიური მონაწილე, თადარიგის გენერალი, ბატონი გიორგი ივანეს ძე ხაზარაძე.

ბატონი გიორგის მიერ არაერთჯერ გაღებული ფინანსური დახმარების შედეგია ის გარემოება, რომ გაზეთი აგრძელებს მუშაობას, ე. ი. იწერება სამტრედიის ისტორიაც.

გარდა გაზეთისა, ბატონი გიორგის ძალისხმევით, თანადგომითა და ფინანსური ჩართულობით, სამტრედიასა და მის მშობლიურ სოფელ ბაშში არაერთ და ორ კეთილ საქმეს ჩაეყარა საფუძველი.

ვხარობთ, გვემაყება, რომ ცნობილი საზოგადო მოღვაწე და ვალმოხდელი გენერალი დღესაც მხნედ და ამაყად გამოიყურება, 94 წლისა ხდება ამ დღეებში ბატონი გიორგი ხაზარაძე.

გაზეთ "სამტრედიის მაცნეს" რედაქცია მრავალრიცხოვან მეთვებელთა სახელთ იუბილეს ულოცავს ბატონ გიორგის და ყოველივე საუკეთესოს უსურვებს!

ლევან ბაგრაძე

იღვბრკელი...

ამ დღეებში იუბილარია ჩვენი რაიონის უზუცესი პიროვნება, მეორე მსოფლიო ომისა და შრომის ვეტერანი, სამტრედიის სახელოვანი ინტელიგენციის ბრწყინვალე წარმომადგენელი, ჩვენი გაზეთის დიდი მეგობარი, ბატონი რევაზ კანდელაკი.

95 წლისა გახდა ბატონი რევაზი. მის მიერ ღირსეულად, შინაარსიანად განვლილი ცხოვრების შესახებ არაერთხელ დაუწერია "სამტრედიის მაცნეს".

როცა სამშობლოს უჭირდა, იარაღით ებრძოდა მტერს, მშვიდობიან ყოფაში კი, ჩვენი ქვეყნის აღმშენებლობაში იყო ჩაბმული და ჩვეული პასუხისმგებლობით ასრულებდა მასზე დაკისრებულ მოვალეობას.

5 წელი გახლდათ ბატონი რევაზი ომის, შრომისა და შეიარაღებული ძალების ვეტერანთა სამტრედიის რაიონული კავშირის თავმჯდომარე და ხანდახან მუხედავად, ახალგაზრდული ენერჯითა და შემართებით იღვწოდა მეორე მსოფლიო ომის ვეტერანთა კეთილდღეობისათვის.

განუზომელი პატივისცემა და სიყვარული მოიხვეჭა ამ წლების განმავლობაში ბატონმა რევაზმა მუნიციპალიტეტის მმართველობით ორგანოებში დასაქმებულთა შორის.

დაბადებისა თუ სხვა სახეობი დღეების მოლოცვას ვერავენ მოასწრებს კეთილ კაცს. ცხოვრებაში გადატანილი უდიდესი ტკივილის მიუხედავად, გაცილებით მეტი შეძლო, ვიდრე ერთ კაცს მოეთხოვება.

პატივისცემითა და მოწიწებით გილოცავთ 95-ე დაბადების დღეს, ჩვენი საყვარელი ადამიანი, იღვბრკელით იმზერებლეთ თქვენს ოჯახთან ერთად, ახლობლებისა და კეთილის მსურველთა გასახარად!

ლევან ბაგრაძე



60 წელი გალაკტიონის გარდაცვალებიდან

მარიამ გარიყულის "განვლილი გზა" უხვ მასალას გვაწვდის მეოცე საუკუნის დასაწყისიდან მის გარდაცვალებამდე საქართველოში მომხდარ მნიშვნელოვან მოვლენებსა და ადამიანებზე, რომლებმაც, შეიძლება ითქვას, ეპოქა შექმნეს ცხოვრების არაერთ სფეროში, განსაკუთრებით კი ლიტერატურულ თუ თეატრალურ სარბიელზე. აქ ნათლადაა გამოხატული ავტორის დამოკიდებულება. ავი თავად ამბობს: "მე შევეცადე აღმედგინა იმ ადამიანების ნამდვილი სახეები, რომლებმაც უანგაროდ, წრფელი გულით, მთელი არსებით, თუნდაც, გმირობით და თავდადებით, ჩვენი წარსული ცხოვრების სახის შეცვლისა და დღევანდელობამდის მიტანის საქმეში დიდი როლი ითამაშეს. მე არ მიფიქრია ამ ადამიანთა პორტრეტების შელამაზება. თითქოს კალამი თავისთავად გაჰყვა აზრზე მიდევნებულ აზრს. ამ მხრივ საყურადღებოა მისი მოგონებები დიდ გალაკტიონზე". სწორედ იმ წელს დაგამთავრე სამუშაო სკოლა. არ დამავიწყდება ის ტკივილიანი დღეები. პოეტების მეფესთან დაკავშირებული ყოველი სიტყვა თუ მოგონება მეტად საყურადღებოა, მით უმეტეს, ჩვენი ახალგაზრდობისათვის.

23 მარტს 60 წელი გავიდა გალაკტიონ ტაბიძის გარდაცვალებიდან. გაზეთის მეთვებელს ვთავაზობ ამონარიდს მარიამ გარიყულის წიგნიდან "განვლილი გზა", რომელიც მისივე სიტყვებით დავასათაურე.

ნათელა გულიშვილი

მე ყოველთვის გარდაცვალა გალაკტიონი

...აი, რამდენჯერ ვახსენე გალაკტიონი, მაგრამ მხოლოდ სახელით და რატომ მოხდა ასე? გასაკვირი როდია, ასე იყო ყოველთვის, ერის სულიერ მწვერვალებზე ასული ადამიანები, მხოლოდ სახელით იწოდებოდნენ. იღვწოდა გალაკტიონი ამისათვის თუ არა, არავინ იცის, მაგრამ მე კარგად მახსოვს ის დრო, როცა გალაკტიონი პოეტების მეფედ აღიარეს, და განა რაიმე დადგენილებით? არა, მხოლოდ თანამედროვეთა შორის მიმოხედავს დასჭირდა ამა. მე ხომ თითქმის ყველას ვიცნობდი, ჩვენს მწერლობაში, ვინც კი იყო. ზოგთან უშუალო მეგობრობა მქონდა, ზოგთან თანაკლამური. ჰოდა, ეხლა უკლებლივ ვიგონებ მათ. ყველა მათგანის სილუეტები წარმომიდგება, ვისსინებ და მინდა, მთელი სისრულით და სიცხადით აღვადგინო მათი სახეები, ერთმანეთს შევადარო და ამასობაში განვასხვავო კიდევ ისინი. და აი, ვეძებ, მაგრამ იმაზე რთულ პოეტს – პიროვნებას, როგორც გალაკტიონი იყო, მე მეორეს ვერ ვპოულობ. გალაკტიონთან მეტად ადრეულ ნაცნობობას და იქიდან მომდინარე, მეგობრობას რომ თავი დაეანებოთ, მასზე სათქმელად ისიც კმარა, რომ ჩვენ ცხოვრების უკანასკნელი ოცდახუთი წელი ერთ სახლში გავატარეთ. ეს ისეთი დიდი რამაა, რომ თუკი ადამიანს ოდნავ რისიმე უნარი აქვს, მან უნდა შესძლოს მცირე

ოდენი რამ მაინც თქვას გალაკტიონზე.

მე ყოველთვის მოცებდა გალაკტიონის ლექსი – მისი ფორმაც, წყობაც, მასში მოქცეული განწყობილება და განსაკუთრებით ის შორეული მუსიკა, რომელიც მის პოეზიას უბრალოდ კი არ ახლდა, არამედ პოეტის დიდი ჩანაფიქრიც იყო.

ვინც გალაკტიონს პირადად იცნობდა, არ შეიძლება არ შეენიშნა ის მილიანობა, რაც გალაკტიონსა და მის ლექსებს შორის იყო. მამაშვილივით ჰგვანდნენ ერთმანეთს გალაკტიონი და მისი ლექსები. ერთი სიტყვით, გალაკტიონის ლექსი მხოლოდ და მხოლოდ მისებური იყო.

გალაკტიონის გულჩათხრობილობა და გულდაობაც სწევდა. იგი მორღობულად იყო და სხვიმოხილიც. პატემოფყარობაც საუბოდ გამოსჩანდა მის მორთოლვარე ხასიათში, მაგრამ ხომ ყველამ იცის, რაოდენად გამართლებული და აზრჩადებული იყო მისი თვისებების ეს მხარე? ადრეც აღვნიშნავდი და ეხლაც ვიმეორებ, რომ მოაზროვნეს უფლება აქვს, სხვათა შორის, თვითონაც აფასებდეს თავის თავს და პატივმოყვარე იყო იმ ზომით, როგორც გალაკტიონი იყო. მასთან გასაუბრებისას მე ყოველთვის ვგრძობდი, რომ გალაკტიონს პირად ცხოვრებაში მხოლოდ ქართული ლექსის ამადლების განუზომელი სურვილი და მასზე ზრუნვა ამოქმედებდა. ქართული პოეზიისათვის ყველა მნიშვნელოვან მომენტს ეპოქის დასაწყისად ან დასასრულად თვლიდა. გალაკტიონი და ავი ამიტომაც თქვა:

"წინამურში რომ მოკლეს ილია,

მაშინ ეპოქა გათავდა დიდი".

გალაკტიონის მისი სახელის უბრალოდ ხსენებაც კი რაღაც წარმოუდგენლად ახარებდა და ზოგჯერ ბავშვურ უშუალობამდისაც მიჰყავდა.

ბევრი რამ ნამდვილად გაუგებარი და ჩამაფიქრებელი იყო გალაკტიონში, მისი და ჩემი აივნის ფანჯრები ოცდახუთი წლის მანძილზე გვერდიდან შეჭყურებდნენ ერთმანეთს. ხანდახან გავიხედავდი გალაკტიონის მხარეს და ჩასადგურებულ იღუმალებისაგან შიმის ქროლვა დამივილიდა. მაშინ ჩემს წარმოდგენაში მის ბინას საუკუნეებით მიტოვებული ციხე-კოშკის ელფერი ჰქონდა გადარული და მიკვირდა, რად იყო, რომ ამ მეტად ფართო ურთიერთობის კაცის სახლში, მეგობრულად, ოჯახურად, ადამიანურად, ისე როგორც ჩვეულებრივად ხდება ხოლმე, არავის შეუხედავს, მან ხომ ჩემი იცოდა მეზობლური მონახულება დროის რა ფამიც არ უნდა ყოფილიყო? ალბათ, ესეც გალაკტიონის ხასიათის ერთი ნიშანი იყო. არ ვიცი, ვინმეს უნახავს თუ არა გალაკტიონი ცრემლმომდგარი, მე კი ორჯერ შევასწარი თვალი მას ასეთს: ერთხელ, ათასცხრაას ოცდაჩვიდმეტი, როცა ღრმად ჩაფიქრებულს ჩვენი სახლის წინ შეეხვდი და კვითხე, თავს რა ადგა, ხომ არაფერი ჰქონდა შეტყობილი, გალაკტიონის ცრემლები შეუგებდა, შემდეგ დაპალებით გადმოსდინდა ოდნავ, ძნელად შესაძნევე ნაყვავილარ ლოყაზე და როგორც იცოდა, თვალებისა და სახის მიმოქცევით წვეტილ-წყ

ფოტო ისტორიას ჰყვება ნაირა მასწავლებელი...


რამდენი სიტბო, სიყვარული, ენერჯია, ფანტაზია ამ ორი ჩვეულებრივი სიტყვის მიღმა. პეშეში დატეული წყალივით გაპარულან წლები, თუმცა, ნაირა მასწავლებლისთვის ვერაფერი დაუკლიათ, პირიქით, მეტი გამოცდილება და სიბრძნე შეუქმნია.

გასული საუკუნის 80-იან წლებში ქალბატონი ნაირა ქორიძე ჩვენი რაიონის სახელოვანი ახალგაზრდების ერთ-ერთი ლიდერი იყო. სისხლსავსედ ცხოვრობდა სამტრედიის და აქაური ახალგაზრდობა. შემეცნებით-გასართობი, ინტელექტუალურ-კულტურული, სპორტულ-მასობრივი ღონისძიებები მისი ფინანსური თვალის მიღმა არასოდეს რჩებოდა და ჩვენი უფროსი მეგობარი ყოველ ღონისძიებაში სულსა და გულს სდებდა. ლამაზ მოგონებად შემორჩა ჩვენს მეხსიერებას ყოველივე დრო გავიდა. წლებია ქალბატონი ნაირა ქორიძე სამტრედიის მეთერთმეტე საჯარო სკოლის პედაგოგია. იგი ჩვეული შემართებით იღვწის მომავალი თაობის აღზრდისათვის და არცთუ იშვიათად სთავაზობს მათ ინტელექტუალურ-შემეცნებით ღონისძიებებს.

დაუსრულებლად შეიძლება საუბარი მის უბრალოებაზე, სისადავეზე, კაცთმოყვარულ ბუნებაზე, დაუსრულებლად ენერჯიაზე.

ჩვენი გაზეთის ფოტოკორესპონდენტის, ბატონ რომან ბეჭაიას მიერაა ეს ფოტო გადაღებული გასული საუკუნის 80-იანი წლების დასაწყისში. ქალბატონი ნაირა ქორიძე (დგას) მიესალმება საჭადრაკო ფესტივალის მონაწილეებს.

ულევ სიხარულს, წარმატებებს ვუსურვებთ ფოტოკარივით დაუზარელ, ჩემ მოღვაწეს. ლევან ბაგრაძე



ვეტილად, თითქმის ტირილნარევი ხმით მიიხრა: – “პო, მა-რი-ამ, წუხელ გა-ვა-ცი-ლე, წა-ვი-და, ვნახავ კი ო-დეს-მე? გალაკტიონი მის უახლოეს მეგობარს ოლიას დამორბობდა, ათი წლის შემდეგ მე ისევ აცრემლებული ვნახე გალაკტიონი, გიორგი ქუჩიშვილის კუბოს თავთან შეჩერებული. მივხვდი, რომ მას კაცთა შორის არავისზე ისე გული არ დასწყევტია ცხოვრებაში, როგორც გიორგიმ... მე ისიც ვიცო, რომ მას ყველაზე ახლობლად გიორგი მაჩინდა.

ომის წინა თვეები იყო... კარებზე მომდგარმა, არც კი შემოუხედავს სახლში, ისე შემომძახა: – “მარიამ დღეს ჩემი საღამოა და დამესწარი”. კარების სახელურში გამოდებულ მოსაწვევ ბარათს დავხედე და რომ გავიგე, საღამომშრომელებისათვის იყო მოწვობილი, მეტის სურვილით წავედი და პატარა სიტყვაც კი მოვაშხაღე.

როცა გალაკტიონი ასე გულისღამულავრულად განგეშორდა, მე ჩემი მიმდინეული არქივი გადავქექე და თვრაბეტი წლის გაყვითლებული ქაღალდები გამოვძებნე. გადავხედე, კიდევ გადავხედე და არც კი შემითვასებია, უეცრად სივრცელით გამოწვეული მწუხარების გამოშხატევალი ორიოდე სიტყვაც წავუშტე და ისე ჩავრთე მოგონებათა მწკრივში.

აი ესეც: “ჰეიროფასო გალაკტიონ! შენ დაიბადე, ალბათ, ისეთ დროს, როცა შენს პატარა ეზოში ატ-



ამი ჰევაოდა, რადგან მისი სურნელება უხვად აფრქვევდა შენს ლექსებში.
 ან დაიბადე, როცა მწიფე ყურძნით დახვნიული ვახუბი ძირს იხრებოდნენ და მარანში დუღდა მაჭარი, რადგან უღვითოდ გვათრობს ლექსი შენი;
 ან პაპანაქება ზაფხულში, რადგან ლექსი შენი ცეცხლს უკიდებს კაცის გულს;
 ანდა ზამთარში, როცა თოვდა, “ისფერად თოვდა” და ამ თოვამ “შეგვაყვარა თმენა უსახლდრო”.
 “მე ძლიერ მიყვარს იისფერ თოვლის ქალწულებივით ხდიდან ფენა...”
 ერთი კია, რომ დაიბადე ათასწორეას ოთხმოცდაათმეტს, არ მოსწრებიხარ შენს მშობელ მამას, სოფლის ამბადარს და მასწავლებელს, მაგრამ “ყველას ხომ რამ აქვს დანატოვარი?” და აი, მისგან დანატოვარმა, წიგნთსაცავმა დედის ტუბუსთან ერთად გაწოვა სიცოცხლისა და პოეზიის ტკბილი ნექტარი.
 პაწაწინა ბიჭივით დედის კალთაში შეისწავლე “აი ია”, და ათი

წლისამ პოეზიის ღმერთთან ილაპარაკე.

შენს ეზოსა და სოფელს სასაფლაოს დაბალი ღობე სახდერავდა, ღობის ძირას ამოზრდილ ბალზე ხშირად იჯექი ფეხშიშველა ბიჭუნა და დაჰყურებდი ხან სამარეთა ქვეებს, ხან შენს ჭიშკართან ჩამომდინარე მდინარე რიონს.

“ცვრიან ბალახზე თუ ფეხშიშველი

არ გაიარე _ რაა მამული...”

ვინ უწყის, შენს პატარა სულსა და გულში რაოდენი ნაღვლიანი შეკრძობანი იშლებოდა?

და იქნებ ბავშვობის განცლებმა “მესაფლავე” დაგაწერინეს?

პირველი ლექსის შემდეგ ხელი კალმისთვის არ შეგიშვია და პოეზიის დიდ ტამარში ისეთ გოლიათად შემოიმართე, რომ დღემდის ჯერ ვერაღვის გაუსწორებია თვალი შენთვის.

მეიროფასო ამხანაგო! კარგა ხანს მოგვევა სულის სიობლე და ამბობდი:

“ჰეი, გაიღვიძე, ქარო ძლიერო, გამოაღვიძე მიდამოდ მეგდარი, გასწი, უაძბე ადამიანებს, ჩემი ოცნება მიუსაფარი”.

და თუ მათ შორის გამოჩნდება თუნდ ერთი, ვინც გამიგებს, ისიც დღდაო.

შენი ტკბილი და ნაღვლიანი ღირვია შენთან ერთად შენს მკითხველსაც აღონებდა: ტანზე ნაბადშემოხეული, სასომხიდილი, ქვითიერის კედელს მიყრდნობოდი... იმ დამეს მერი ჯვარს იწერდა... ოო, ეს ქარიშხალი დიდხანს ბორიალობდა შენს სულში. დიდხანს გახლებდა, მაგრამ შენი ნიჭი ზომ მარტოოდენ ამ გრძნობისათვის არ იყო განუუთინილი? სხვა მოწოდებაც იყო შენში, სხვა ცეცხლი ენით შენს გულში!

შენ მოიარე საქართველოს ყოველი კუთხე, გაეცანი და შეისწავლე თანამემამულეთა ყოფა და საკაცობრიო სატკივარს შეუწონე მათი სატკივარი. მაღლიერმა ხალხმა დააფასა შენი გამოსვლა და დირსეულ სიმაღლეზე აგიფანა. მაგრამ ვაი, რომ მუხთალმა ბედმა დაუნდობელი სარმა გამოჰყრა ქართულ პოეზიას და დააობლა.

... “მიდიხარ ისე მიგაქვს წვალეობა,

თითქოს ზღვის კარად თივას თიბავდე.

ვინა სთქვა შენი გარდაცვალება? არა, სწორედ დღეს შენ დაიბადე. მიდიხარ... ადარ დაგვემდურება არც მიწიერი, არც ზეციერი, ვინა სთქვა შენი უბედურება? არა, სწორედ დღეს ხარ შენ ბედნიერი.

მიდიხარ... შენს ბედს ბევრი ინატრებს მშვენიერს, ბედი სხვა არსად არის, შენ სივრცეებმა დაგაბინადრეს, შენ უკედლეების ხარ ბინადარი”. გალაკტიონ! გჯეროდეს, სანამ იქნება ქვეყნად ქართული მეტყველება, შენ, შენ ხალხთან ხარ.”

ცხოვრების უცნაურობაა, რომ კაცი დიდ თანამედროვეს მამინ ვერაფრას, როდესაც მას ყოველდღიურად შენს გვერდით უყურებ, თორემ ისე, დიდი სიცოცხლე ისაა, როცა იგი სრულდება, მის სანაცვლოდ და შემავსებლად იქვე, მის ძირშივე, ახალი სიცოცხლე ჩნდება.

29 აპრილი ხსოვნის დღეა!

ხამენი ნასუდან...

ლიპანე ზაგრაძე

აღიკეთებთ მეორე დღეს კვლევა მკვლელებს იხსენებს, ამდენად, ის ადამიანები, სამტრედიის და საქართველოს ის დირსეული შეილება გვსურს ვთქვათ, ჩვენს შორის რომ იყვნენ, ჩვენებრ ხარობდნენ საცოცხლო და ამაყად ზეციური საქართველოს ბინადარი არიან. ვის ნადრდევად, ვის ცხოვრების შუა წახვე შემოღამდა, ვინ კიდევ მოლომე ვაიტანა კაცურად ღულო. არა აქვს მნიშვნელობა, ვინ რამდენი ცოცხლა, მოაგარი, რომ თითოეულმა წარუშლელი კვალი დატოვა ჩვენს გულში.

განუხომელი მწუხარებითა და სევდით ვივრებთ უსათნოეს ახალგაზრდა ექიმს, ქალბატონ ნინო რევიშვილს, დირსეული ოჯახის შვილი და დიასახლისი ალალი ცრემლით დაიბრია სამტრედიამ წლების წინ, ვარდობისთვის.

არ შეიძლება არ გავიხსენოთ ახალგაზრდა ექიმები: თემურ მშვიდლობაძე, თემურ ჩიჭოვანი, თამაზ კაკაბაძე, მარინა მუქერია, დვალმოსილი მედიკოსები, ჩვენი განხეთის დიდი მეგობრები, ბატონები: გენო გვეგშიძე, მიხეილ ნამიჩიშვილი, ვაჟა ტრერიაძე, სერგო შარაშენიძე, ექიმები: მიხეილ რუხაძე, სერგო ბოჭორიშვილი, ცაცა კანდელაკი, ლამარა ტრერიაძე, ქეთო კვიციანი, შალვა კარტოზია, შოთა კალაძე, რუბენ ბათიაშვილი, ილია ბოთურაშვილი, დუდუ მიხეილაშვილი, შოთა ლევიაშვილი, ნაზიკო კობახიძე, დავით კაჭაბიძე, ლეოლა ვაკეყველია...

დვალმოსილი პედაგოგები, განათლების სისტემის ნიჭიერი ორგანიზატორები, ქალბატონები: ნეოლინა ჯიქიძე, თალიკო მიქაძე, ვერნა კაჭახიძე, გულნარა რუხაძე, მარიამ ნასარეია, გუგული მჭავია, მურმან კაშია, პოლიკო მიქაძე, აკაკი ჯამბურია, უშანგი ფრანგიშვილი, ბადრი ტონია, ნონა ნაცვლიშვილი, ლამარა შენგელია, მარიამ ნადირაძე, ცისანა მეტეკე, რაისა არველაძე, აზა

კილურაძე, კლარა ფანცულაია, კარლო მხელაძე, შუმანა ქართველი-შვილი, შალვა ჩიხლაძე, ტატიაანა გეგუჩაძე...

კულტურის მუშაკები, მსახიობები და რეჟისორები: შოთა ჩიხლაძე, როლანდ გოგიშვილი, ტარიელ ხაგალია, კოლა კაკაბაძე, არქიფო სიგუა, ზვიად ვაშკიძე, თამარ ისერიანი, მიხეილ ქუთათელიძე, ლენა შანიძე, ლია კამკამიძე, ქსენია ტორონიძე, ვენერა ჩიგოვიძე, თელორე სტურუა...

სხვადასხვა საწარმოთა უნარიანი ხელმძღვანელები: შალვა გოგაია, ვალდო კობალეშვილი, ილია ოდილაძე, ოთარ კაცაძე, ჯუმბერ ნიკურაძე, ნოდარ გვიგინიშვილი, ანზორ გვოლაძე...

ქალაქისა და რაიონის ყოფილი თავადაცები: ნოდარ კობახიძე, ამირან მანჯგალაძე, ნოდარ ბახტაძე, თამაზ იმედაძე, მურად მუქერია, ლევან ჩხეიძე, ნოდარ მხელაძე, თემურ ყაჭვიშვილი, სულაო ნინუა, ავთანდილ ლომია, მიხეილ მელქაძე, ამირან ბახტაძე, სოსო კიწმარიშვილი, ზვიად ახობაძე, ოთარ ნაფეტვარიძე, ოთარ წულუკიძე, ჟორა რევიშვილი.

რეზინების სხვადასხვა ორგანიზაციის ხელმძღვანელები და რეზინების: ჟორა რამიშვილი, გრიგოლ ზაგალია, არჩილ, ვლადიმერ რევიშვილები, ოთარ მიქელაძე, ოთარ ნიკურაძე...

სახელოვანი სამტრედიელები, მწერთელ-მასწავლებლები: გივი კალაძე, ჯემალ ნიკურაძე, რევაზ შანიძე... პოეტები: გრიგოლ ჯულუხაძე, ნოდარ აფეიშვილი, მიხეილ სანიციანი, რაისა შენგელია, კახა თევზაძე.

ვახუტ “სოციალისტური შეტევას”, “წინსვლას”, “სამტრედიის მაცნეს” რედაქტორები, რედაქცია-სტამბის თანამშრომლები: ჟორა ჯანჯღავა, ვაჟა ნიკოლეიშვილი, ვალერიანე მეგრელიშვილი, ანზორ გრიგოლია, სოსო ზაგალია, გივი ნიკურაძე, ზოია კალა-



ნაძე, ბუჭუნა ელიშვილი, შოთა მაღლაკელიძე, მერაბ კაკაბაძე, ცისანა ძიძუაშვილი...

სოფლის მეურნეობის საწარმოთა ხელმძღვანელები: ავთანდილ გახვიძე, თამარ თავაძე, თენგიზ წითელიშვილი, უშანგი კეკელია, ივანე ხასია, მირდატ ხარჩილაძე, სოსო მინაშვილი...

მკვლევართა მუშათა კლასის დირსეული წარმომადგენლები: დავით ბაღდაძე, ვალერიან დვავაძე, ოლია ბალანჩივაძე, მარგალიტა გვეგუჩოი, შოთა ლეჟავა, შოთა ბანიძე...

სასულიერო პირები: დეკანოზი ათანასე (რუხაძე), დეკანოზი გიორგი (იოსებაშვილი), დეკანოზი აკობი (კობახიძე)...

ცხადია, ერთ წერელში (ერთი ავტორის მიერ) ყოველად შეუძლებელია ყველას ჩამოთვლა, გვაპარდნო სხვათა სულებმა და ჭირისუფალმა.

არდავიწყება მოყვრისა ზიანს რომ არ შეგვაბიძგე, საუკუნეთა წაილიდან მოგვზახის დიდი რუსთაველი. ჩვენც შევეცადეთ, ის ადამიანები გაგვეხსენებია, რომლებთანაც გვექონა უერთიერთობა, ან რომელთა შესახებაც არაერთხელ გვსმენია.

ნათელი მათ საფლავებს!

იპოილა

კასი ლეგენდა

დღესაც აღვთვრებოდა საუბრობენ მასზე ყოფილი მოსწავლეები, თანამშრომლები, ის ადამიანები, რომელთაც ჰქონდათ ბედნიერება, მისი თანამედროვენი ყოფილდნენ.

ბევრი რამ გამოარჩევდა სხვებისგან: ცოტაა თქვა, კარგი ორგანიზატორი, უნარიანი ხელმძღვანელი იყო, ერთგული იბადებოდა მხოლოდ იმ თვისებებით, ბატონ პოლიკარავი (პოლიკო) ბეკოს მე მიქაძეს რომ ახასიათებდა, მრავალთვან განასხვავებდა, გამოარჩევდა.

შეგებულად არ გვსურს ქორნოლოგი-იურად, თარიღებით ვისაუბროთ, თუმცა, მთავარ მომენტებს მაინც ვერ ავუვლით გვერდს, თუნდაც იმიტომ, რომ ახალმა თაობამ უფრო ბევრი იცოდეს ამ არაჩვეულებრივი კაცის შესახებ.

აბაშის რაიონის სოფელ სამიქოში დაბადდა.

ახალი აბაშის საშუალო სკოლის დამთავრების შემდეგ, საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტი დაამთავრა და 1932 წელს, სოფელ კულაშის ზოგვეტერინარული ტექნიკუმის დირექტორის მოადგილედ დაინიშნა.

1934 წელს ბატონ პოლიკოს დიდი ჯიხაშის სასოფლო-სამეურნეო ტექნიკუმის დირექტორად აწინაურდნენ. აქ სრულად წარმირნდა და გაიფურჩქნა მისი, როგორც განათლების სისტემის თვალსაჩინო ორგანიზატორის, უნარ-ჩვევები და თვისებები.

მოცილილს ვერაფერ ნახავდა მარადის ახლის მაძიებელი დირექტორს და წარმატებუიც არ აყოვნებდა.

ბატონი პოლიკოს ძალიანმეყოფი და მისი გარემოცვის უდღესი რუღუნების წყალობით, დიდი ჯიხაშის სასოფლო-სამეურნეო ტექნიკუმში, მოწინავეთა რიცხვში იყო თავისი პროფილის სასწავლებლების შორის არა მარტო საქართველოში, ყოფილ საბჭოთა კავშირშიც.

სათანადო დონეზე აღჭურვილი მატერი-ალურ-ტექნიკური ბაზა, სასწავლო მეურნეობა, სპორტული ბაზა, კამინტ-ლაბორატორიები, შემეცნებით-განათლებელი, სპორტულ-ინტელექტუალური ღონისძიებები საქართველოს სხვადასხვა კუთხიდან დიდ ჯიხაშაში იმ დროისათვის ესოდენ საჭირო პროფესიების დასაფუძვლებად ჩამოსული ახალგაზრდობისათვის, მათი კეთილდღეობისათვის იყო გამიზნული.

დიდი ჯიხაშის სასოფლო-სამეურნეო ტექნიკუმში ბატონი პოლიკო მიქაძის ხელმძღვე-

ანელობით გაითქვა სახელი, როგორც საერთაშორისო კლასის სპორტსმენთა, სპორტული კლუბებისა და მაღალმხატვრული კოლექტივების სამჭედლო.

აუცილებელია აღინიშნოს, რომ სასწავლებლის ხელმძღვანელს საქმიანი კონტაქტები ჰქონდა დამყარებული საბჭოთა კავშირის მონათესავე პროფილის ტექნიკუმებთან და უმაღლეს სასწავლებლებთან. წარმოებდა მიღწევების ურთიერთგანაშაობა. მოწინავე იდევბსა და გამოცდილებებს კი ფართო ასპარეზი ჰქონდათ დასამყებდებლად დიდი ჯიხაშის სასოფლო-სამეურნეო ტექნიკუმში.


გაღაუჭარბებლად შეიძლება ითქვას, რომ დღესაც ათჯერ რომ შეგხედროდი, ერთხელ მაინც გატყუებულ კონტრესტში უთუოდ ახსენებდნენ ბატონ პოლიკოს მისი ყოფილი მოადგილე, შემდეგ ვეტერანთა რაიონული კავშირის თავმჯდომარე, ბატონი ალექსანდრე (შურა) ქუთათელიძე, “სამტრედიის მაცნეს” შტატგარეშე კორესპონდენტი, ტექნიკუმის პედაგოგი, ბატონი ვაჟა ზეინია და სხვები.

სიცოცხლის ბოლო დღეებამდე თანამშრომლობდა “სამტრედიის მაცნესთან” ტექნიკუმის ყოფილი პედაგოგი, ბატონი აკაკი სანიციანი.

“წლების მანძილზე ტრადიციულად დამკვიდრდა, ტექნიკუმის მოსწავლეებისაგან შემდგარი შრომითი რაზმის ხელმძღვანელი მე ვყოფილიყავი, ეს ჩემთვის განუზომელ პასუხისმგებლობასთან ერთად დიდი პატივიც იყო. რაზმი ყოფილი მაზრაძის, ამჟამად ოზურგეთის, ლაითურის ჩაის მეურნეობაში გვყავდა მივლინებული. არასოდეს ვიცოდით როდის, კვირის რომელ დღეს, რომელ საათზე მოვიდოდა დირექტორი, რომელიც მოსწავლეთაგან სვეტიცხოველის შრომითი მიღწევებითა და პირობებით ინტერესდებოდა”. იმდენს, მანამდე ისაუბრებდა ბატონი პოლიკოს შესახებ, ბატონ აკაკი სანიციანი, ვიდრე თვალზე ცრემლი არ მოადგებოდა.

ბატონები: რევაზ კანდელაკი, ზურაბ ფანცულაია, გიორგი ლეჟავა, კობა მანჯგალაძე... ის ადამიანები ვახლავან, რომელთაგან სხვადასხვა დროს ბატონი პოლიკოს შესახებ ბევრი კარგი გვსმენია.

... დიდი ჯიხაშის ყაზბეგის სახელობის სკოლაში ორი-სამი წლის მისული ვეჭმობდი, როცა ბატონი პოლიკარავი მიქაძე გარდაიცვალა და, შესაბამისად დაკრძალვას მისულ ყაზბეგის სკოლის პედაგოგთა შორის ყველაზე ახალგაზრდაც ვახლდით.



მეხსიერებას შემოიჩინა ის საერთო მწუხარება, სიცოცხლეშივე ლეგენდამცემული კაცის გარდაცვალების გამო რომ სუფევდა დიდ ჯიხაშში.

... ვახსენებ უფალს და ვიტყვი, ნამდვილად ვიცილი, რომ მიმდინარე წელი ბატონი პოლიკოს საიუბილეო იყო, მაგრამ... მაგრამ რატომღაც წერილის გაკეთებას უფრო ზაფხულიც ვაპირებდი.

რა მოხდა? “რა შეიძლება გავაკეთოთ, პოლიკოს იუბილე ახლოვდება” – მიიხრა, ამას წინათ, ჩვენი განხეთის უერთგულდამცემი მამა და რედაქციის ძველი და ახალი თაობისათვის ერთნაირად პატივსაცემმა და საყვარელმა პიროვნებამ, ბატონმა გიგანტი ბიბილაქიშვილმა, კაცმა, რომელიც სამოთხეობით, სევდილი და საიამაყით იხსენებს ბატონ პოლიკოსთან ზანგრძლივი ურთიერთობის ყველა წერილმანსაც კი. წერილის გაკეთების მუტირაბა შემიძლია, ბატონი გიგანტი! – მივეუბნე მას და განვარტე: ალბათ, დიდ ჯიხაშ-შულები, შენიციაბალიტეტი ჯერონად აღნიშნავს ღირსეულ თარიღს-თქო.

მერბამლებული, მწირი წერილი სახეზეა.

... კარგი იქნება, თუ საკადრის ბატივს მივატოვებ სპორტელოს დამსხრებულ მასწავლებელს, დიდი ჯიხაშის სასოფლო-სამეურნეო ტექნიკუმის სიცოცხლეშივე ლეგენდად ქცეული დირექტორის, ბატონი პოლიკარავი (პოლიკო) მიქაძის ნათელ ხსოვნას.

უთუოდ იმსახურებს ამას ბატონი პოლიკო და მის მიერ აღსრულებული საქმიან საგმირონი.

უთუოდ 110 წელი სრულდება მიმდინარე წელს ბატონი პოლიკოს დაბადებიდან (1909-1985 წ.წ.).

ამ წერილის დაწერა განაპირობა მკითხველის ინტერესმა ჩემს მიერ გამოქვეყნებულ პუბლიკაციაში “მთავარია გვანდობლივს, ვისი გორისა ვართ...” დასმულ კითხვაზე, რატომ არ არის ნათქვამი რამე სამტრედიის ამჟამინდელი ვითარების შესახებ.

გულწრფელად მინდა ვაღიარო, რომ თემას შეგნებულად ავუარე გვერდი. შენიშვნა მართებულია, რადგანაც ჩვენ, ყველა სამტრედიელები ვართ და ამდენად, სამტრედიის ტკივილი თუ სიხარული ჩვენი ყოფიერების თანმდევაა. ჩვენ ხომ სამტრედიის შვილები ვართ, ამჟამად უკვე ბაბუები.

წინა პერიოდის სამტრედიის ცხოვრებიდან მხოლოდ ზოგიერთ ეპიზოდს გავიხსენებ, რომელიც იმედის და ტკივილის თანმდევა (განვითის ფორმატი ყველაფერს ვერ დაიტევს) სამტრედიამ დაარსების შემდეგ, მისი ინფრასტრუქტურის განვითარებაში, მე-20-ე საუკუნის 80-იან წლებში უმაღლეს ნიშნულს მიაღწია. ამჟამად ნათლად მეტყველებდა მოსახლეობის ცხოვრების დონე – კეთილდღეობა. ამის დასტურია ის, რომ მაშინდელმა თავკაცებმა ქალაქის ქუჩებში განათავსეს საათები. დრო ხომ წუთისოფლის ამსახველია.

90-იანი წლების ცნობილ მოვლენებს ვერც სამტრედიის რაიონი გადაურჩა, ის სამოქალაქო ომის ეპიცენტრში აღმოჩნდა. დრო თითქოს გაჩერდა, გაიყინა, ეკონომიკური პოტენციალი დაეცა. ქალაქი სიბნელეში, მწუხრმა, მღუმარებამ და შიმშილი მოიცვა, საათის ისრებმა შეწყვიტეს სვლა.

შეიძლება ითქვას, პირველი გამონათება, იმპულსი, საწყისი ქვეყნის სტაბილურობის გამოჩნდა, (ყოველ შემთხვევაში იმჟამად ასე ვფიქრობდი, როდესაც 1999 წელს ასპარეზზე გამოვიდა ახალი ძალა “მრეწველობა გადაარჩინოს საქართველოს”, რომლის ლიდერები იმედს გვისახავდნენ, რადგანაც მოვიდნენ დიდი ნივთიერების იდეებით, რაც ერთგვარი გარანტი იყო ლიდერების გულწრფელობისა. ჩვენც სამტრედიის დაავაფუძნეთ ორგანიზაცია და საპარლამენტო არჩევნებში მივიღეთ მონაწილეობა. იმერეთში მაშინ, როდესაც ქუთაისშიც ვერ შესძლო გადაელახა 7 პროცენტისანი ზღვარი, ჩვენ ვიყავით ერთ-ერთი, ვინც ეს ბარიერი დასძლია. რესპუბლიკის მასშტაბით კი, ბარიერის გადალახვას ერთი პროცენტი აკლდებოდა. უნდა ითქვას, სწორედ სამტრედიელთა ძალისხმევა აღმოჩნდა უმნიშვნელოვანესი, მოძრაობას ბარიერი დაეძლია. საკითხავია, რა მიიღო მისმა ადგილობრივმა ორგანიზაციამ. დიდი იმედგაცრუება! შემდგომ თუ როგორ განვითარდა მოვლენები ეს კიდევ სხვაა. ლიდერებმა მხოლოდ თავისი ბიზნესი გადაარჩინეს, პარლამენტის წევრები გახდნენ. ქუთაისიდან სამტრედიამდე სულ

35 კმ-ია და ჩვენს თხოვნას, სტუმრებოდნენ სამტრედიას და რეალობისთვის თვალი გაესწორებოდათ, გამოძახილი არ მოჰყოლია. ჩრდილი მიაყენეს დიდი ნივთიერების სახელს, რომელსაც არჩილ ჯორჯაძე “უღმობელი საქმის კაცს ეძახდა”.

ასეთი მოძრაობა კვლავ საბოლოო თანხებიდან ფინანსდება, რაც მორალს სცილდება და საკანონმდებლო ნონსენსია.

სამტრედიელები რჩეულებს ვირჩევთ 27 წელია, პრობლემები კი უცვლელი რჩება. ჯერ კიდევ 2011 წელს მაშინდელი რაიონის ხელმძღვანელობის წინაშე დაისვა კანალიზაციის საკითხის სასწრაფოდ მოგვარების გზების მოძიების რესპუბლიკის მთავრობის დონეზე დაყენების საკითხი. რაიონის მაშინდელი ხელმძღვანელისგან მივიღეთ პასუხი, რომ საკითხი არ არის სამტრედიის მუნიციპალიტეტის კომპეტენციის ქვეშეშე. ჩვენ კი ვთხოვდით, აღნიშნულთან დაკავშირებით თავად დაესვათ საკითხი სამთავრობო დონეზე.

აქვე მინდა ერთ თემას შევეხო, თავდაპირველად როდესაც ეშვარდნაძე მოსკოვიდან დაბრუნდა, საქართველოში მართვის სტრუქტურები მოშლილი იყო. ამიტომაც, რეგიონებში პირველად დაინიშნენ სახელმწიფო რწმუნებულები. ეს აუცილებლობით გახლდათ გამოწვეული, რადგანაც ადგილებზე საჭიროება მოითხოვდა მერებისა და გამგებლების განაზღვრას. დღეს, როდესაც ადგილებზე ხელმძღვანელობა არჩევითაა, გუბერნატორების ინსტიტუტი დრომოჭმულია.

გუბერნატორებია ამერიკაში, სადაც თითოეულ შტატში მილიონზე მეტი მოსახლეა, გუბერნატორებია რუსეთში, იქ გუბერნიები, უკიდევანო სივრცეებია.

საქართველოში დედაქალაქიდან საქართველოს ნებისმიერ განაპირა წერტილამდე რადიუსში სულ 400 კმ-ია, რის დაძლევა-საც 3,5 საათი სჭირდება. საქართველოს პირობებში აღნიშნული ინსტიტუტი ზედმეტი ტვირთია.

ქვეყნის ხელმძღვანელობა შუალედური რეგლის გამო ვერ ხედავს რეალურად ადგილებზე მდგომარეობას, იმ პრობლემებს, რაც არსებობს. იმის გამო, რომ ადგილობრივი ხელმძღვანელი პრობლემას ვერ წვევს ავტორიტეტი ელახება მოსახლეობაში. ათეული წლების მანძილზე გაიზარდა სამხარეო ადმინისტრაციების საჯარო მოხელეთა შენახვის ხარჯები და მილიონს აღემატება. პრემიერ-მინისტრის მცირე მთავრობის კონცეფცია სწო-

რედ ამ ინსტიტუტის გაუქმება უნდა გახდეს. პრემიერ-მინისტრთან შეიქმნას მობილური აპარატი და რაიონები, ქალაქები, პირდაპირი მობილობით იხელმძღვანელებენ. დღეს, კომპიუტერული და მობილური კავშირის ეპოქაში, აღნიშნული ინსტიტუტი ზედმეტ რგოლს წარმოადგენს. გამოთავისუფლებული კადრები (როდესაც წუხილია რომ საქართველოში კადრების ნაკლებობაა) გადანაწილება როგორც ბიზნესში, ისე სხვა სამსახურებში.

მმართველობის ხარვეზია, რომ თავის დროზე არ დასვა სამთავრობო დონეზე პრობლემის მოგვარება. ნაცვლად იმისა, რომ ჯერ მოწესრიგებულიყო ამორტიზებული მიწისქვეშა კომუნიკაციები, გზებს გადაავადრეთ ასფალტის ფენა, ამდღა ტროტუარები, ამოიწია საკანალიზაციო ტუბები, რამაც საშველი ვერ მოიხანა. ტროტუარზე გადმოედინება ფეკალური მასა. გამკვლე-გამომკვლევებს ტროტუარებიდან სასურსათო მარკეტებში შეაქვთ ანტისანიტარია. რუსთაველის, რესპუბლიკის, გამარჯვების ქუჩების მოსახლეობა სიმყარის სუნითაა შეწუხებული. გაუსაძლისია მდგომარეობა! ასფალტის სამუშაოებზე გაწეული ხარჯები უშედეგოა. ამას ჰქვია – “კაცმა ჭირი მალა და ჭირმა თავი არ დამალა.”

აღნიშნას იმსახურებს სამტრედიის ისეთი ღირსეული პიროვნების მოღვაწეობა, როგორც ბატონი მურმან კაშია გახლდათ. ის არა მხოლოდ სახელოვანი პედაგოგი იყო, არამედ საუკეთესო მოქალაქე და ადამიანი. გამორჩეული საქმის ერთგულებით, წესიერებით, მუშაობის სტილით, მისი ეს თვისებები კიდევ უფრო წარმოჩნდა როდესაც ის სათავეში დაუდგა მოქალაქეთა პოლიტიკურ გაერთიანება “ქართული ოცნება – დემოკრატიული საქართველოს”. მისი უშუალო დამსახურებაა რაიონული ორგანიზაციის დაარსება და სტრუქტურების ჩამოყალიბება და ის, რომ ორგანიზაციამ წარმატებებს მიაღწია. გაჩნდა იმედის ნაპერწკალი, რომ საათის ისრები ათვლას დაიწყებდა. მაგრამ მოხდა ისე, რომ მას გული ატკინეს და მან სამტრედიის დატოვა. არანაირი პრეტენზია არ გამოუხატავს, თუმცა უსახლვრო იყო მისი დამსახურება. სამტრედიელები თავს ვზრით, ის უკვე მარადისობაში გადასულია...

გაი, რომ რჩეულებს სიცოცხლეში ვერ ვაფასებთ! დღეს სამტრედიის თითქმის ყველა მესამე ოჯახი გამოეცე-

ლია, ქალაქი მოსახლეობისაგან იცლება. გამართლება, რომ ეს განპირობებულია ვინაობა ვინაობა ვინაობა, არ არის, ადამიანები სახლვარგარეთ სამოგზაუროდ, ტურისტებად არ მიემგზავრებიან. პრობლემა არის უმუშევრობა. ფსიქოლოგების განმარტებით, უმუშევრად დარჩენა ყველაზე მძიმე ტრავმაა ოჯახის წევრის დაკარგვის შემდეგ. შექმნილი მდგომარეობა აიძულებს მოსახლეობას დატოვოს ოჯახი, ქვეყანა და ღირსების შემლახავ პირობებში არაკვალიფიციური საქმიანობით დაკავდეს, რათა აქ გამოეცვალოს ოჯახი.

მართალია, გვაბრძობენ, რომ სამტრედიას სპორტულ ქალაქად გადააქცევინ, სპორტის სასახლეს აგვიშენებენ და ეკონომიკაც აღორძინდებაო, მაგრამ როდის? ნუთუ ჯირითით და ბურთის თამაშით შესაძლებელია ეს?! მამა-შვილი, დიდი ნივთი და გიორგი ნივთიერებები გვასწავლიან, რომ ქვეყნის ფუძეს და სიძლიერეს მისი მყარი ეკონომიკა განაპირობებს, მისი გონივრული მართვა წარმოადგენს.

“სამტრედიის მაცნეს” ერთ-ერთ ნომერში დაბეჭდილია სამხარეო რწმუნებულის ხელდა, რომელშიც ფართოდ არის გაშუქებული ქუთაისის, თერჯოლის, საჩხერის, ტყიბულის, ბაღდათის, ზესტაფონის, ჭიათურის ამოცანები, სამტრედიის არ ითხოვება სამტრედიის პულსი არ ისინჯება! არადა იყო დრო, სამტრედიის ქვეყნის მასშტაბით პირველ რიგში იდგა. დრო არ ითმენს, აუცილებელია რაიონში წარმმართველი ტენდენციების გაცნობიერება!

დმერთო, გამოაჩინე სამტრედიელი ვაჟკაცი, რომელიც საათის “მოქოქავს”, ისრები სვლას დაიწყებს და სამტრედიას ააღორძინებს.

გია ბოჭორიშვილი
70 წლის ძირძველი სამტრედიელი
P.S. “ჩემზე ამბობენ: “ის სიავს ქართლისას ამბობს, ჩვენს ცუდს არ მალავს, ეს ხომ ცხადი სიძულვილია. ბრიყვნი ამბობენ, კარგი გული კი მაშინვე სცნობს, ამ სიძულვილში რაოდენი სიყვარულია!”
ილია ჭავჭავაძე

განზაფხული ეს ღვთის ღმირის პარაკლისია, დანამულ ტოტზე ჩიტი გალობს როგორც მისანი, თითქოს გაიღო ყვავილების ოქროს კარი და გამოძვრა ლექსი ყვავილების სტიქაროსანი...

განზობისას იმიტომ ფერმრთალებდა ცოცხალი, რადგან ფერებს მოსვენებისას ძველ ქვეშავეს უცვლიან თითქოს...

ვინა ვარ, რა ვარ, ერმილე მქვია, ჩემი პატარა ტკბილმწარე ბედი თავზე დამბლავის დათვის ბედივით. და აგერ შვიდგზის ცხებასავით შოთაის ფუნჯით, მუხრანის ლექსის პარაკლისზე, ძველმა მოძღვრებმა ლაღომ და მირხამ შუბლზე წამაცხეს ლექსი ზეთივით...

ქალმა გაიღიმა და ღმილიდან ლექსი კალმის პიპეტით გადავარჩინე, ისე ამოვიღე ღვინოში ჩავარდნილ ჭიანჭველასავით...

დაასაფლავეს დედაჩემი და გაყინულ სხეულს მამამ თავისი თბილი საბანი გადააფარა...

შენ რომ შეგხედე ჩემში, ტაძარში შემოსულს ჰგავდი. მერე კი ჩემს სიტყვებად ქცეული უკვე ლოცვიდან გამოსულს...

პედოლი თოვანი

დიდებული ძალბატონი

უბოლოდ იყვნენ მწუხარები: ოჯახის წევრები, ახლობლები, მეგობრები. სკოლის პედაგოგები, მოსწავლე-ახალგაზრდობა, სამტრედიის ქალთა საზოგადოება და არა მხოლოდ ისინი. ვეთხოვებით ქალური ღირსებებით გამორჩეულ ქალბატონს, ქალთა რაიონული საბჭოს თავმჯდომარეს, მე-12-ე საჯარო სკოლის სასწავლო ნაწილის გამგეს, გულნარა (მაცე) აკაის ასულ ჩაჩუას. ყველასთვის მოულოდნელი იყო მისი გარდაცვალება. მაცის გარეშე ვერ წარმოგვედგინა, ის ავსებდა სივრცეს, აღამაზებდა სამყაროს. გვაკვირვებდა ისიც, უწუმრად რომ უმკლავდებოდა სირთულეებს და ატარებდა იმ მძიმე ტვირთს, რომელიც ასე იოლად დასაძლევია არ გახლდათ. მოულოდნელი ცვლილებებით სასვე ქვეყანაში.

არ ვიქნებოდა ორიგინალური, თუკი ვიტყვი, გტკივა, როცა გიყვარს. გულწრფელი ურთიერთობები, ურთიერთდობა და პატივისცემა ფუძეა გულთბილი დამოკიდებულებებისა, ვფიქრობ, გარკვეულწილად უნარია ადამიანისა, რითაც განსაკუთრებით იყო დაჯილდოებული ქალბატონი მაცე. ჯერ კიდევ სკოლიდან მასსოვს აქტიური, ცეკვა ქართულის სოლისტი და უბადლო შემსრულებელი. მასზე წერდნენ როგორც რაიონული, ასევე რესპუბლიკური ჟურნალ-გაზეთები, გამოირჩეოდა ორგანიზატორული ნიჭით, სადაც იმუშავა, ყველგან წარუშლელი კვალი დატოვა. ამიერკავკასიის რეინიჭის №13 საშუალო სკოლის უფროსი პიონერულმდგენელი თავისი შემოქმედებით იდეებით და წარმატებული საქმიანობით 60-იან წლებში გასცა და ჩვენი ქვეყნის ფარგლებს და შთამბეჭდავი ფოტოსურათი-პიონერულმდგენელები ერთი უბნიდან (მაცე ჩაჩუა, მაყვალა ჩაჩუა, ლამარა (კაკალა) ოდიშარა, დადუნა ჩიგოგიძე) საკავშირო ქუჩის რაიონის გარე ყდაზე განთავსდა. ეს იყო ადირების ნათელი მაგალითი. 1962 წელს ის დააწინაურეს კომპარტიის სამტრედიის რაიონის სასკოლო განყოფილების გამგის თანამდებობაზე. მისი შემოქმედებითი შესაძლებლობები აქ უფრო წარმოჩნდა. სამტრედიის თვალსაჩინო ადგილს იკავებდა რესპუბლიკაში და მის ფარგლებს გარეთ. შემდეგ იყო პარტიული ცხოვრების ხანმოკლე პერიოდი. ამ ხანებში ის დაქორწინდა ნიჭიერებით და სხვა ადამიანური ღირსებებით გამორჩეულ ახალგაზრდა ინჟინერზე, გურამ ნიშნიანიძეზე. ნიშნიანიძეების დიდ ოჯახთან თანაცხოვრების პირობებში ჩინებული მეუღლეობა და რძობა გასწია, შემდეგ გაჩნდნენ შვილები მამუკა და ნანა. ერთობლივი შრომით ახალ ფუძეზე მათ შესძლეს საცხოვრებლის სახლის აშენება. აღორძინდა ქართული ტრადიციული ოჯახი. ქალბატონი მაცე უბრუნდება მშობლიურ სკოლას კლასიკარულ და სკოლისგარეშე მუშაობის ორგანიზატორის თანამდებობაზე. 1978 წელს კი ამავე სკოლაში სასწავლო ნაწილის გამგედ ინიშნება. ამ მოვალეობას ის 25 წლის განმავლობაში დიდი პასუხისმგებლობით ასრულებდა.



ცხოვრება რომ მწელია და მოულოდნელობებითაა სასვე, ეს მაცემ და მაყვალამ თავად იწვნიეს. უბნოდ, დედისთან, ქალბატონ მარგოსთან, განვლეს ბავშვობის რთული წლები სკოლის დამთავრების ვამს რაიონის თავკაცის კიტა შაიშვილის ჰუმანური მხარდაჭერით ახალი ცხოვრების დასაწყისს დაედო სათავე, რაზეც მაცე და მაყვალა მადლიერებას არ ფარავდნენ. თავად ჭირთამთენი, სხვის მიმართ აუგის არმთქმელი, ოჯახზე, მეგობრებზე, სამტრედიის უსაზღვროდ შეყვარებული ქალბატონი მოხერხებულად უთავსებდა საოჯახო და საზოგადოებრივ საქმეს. იგი დაუზარელი, მოწესრიგებული, ბრწყინვალე დიასახლისი იყო, იმერული სამზარეულოს დიდი ოსტატი, ნამდვილი შემოქმედი. განსაკუთრებით თბილად მახსენდება ჩვენი აღმზრდელი სკოლის გეოგრაფიის ჩინებული პედაგოგის, ზინა შენგელია-გაგუასადმი დამოკიდებულება. ჩვენ ხშირად ესტუმრობდით მას ოჯახში და გამოუნატავდით გულწრფელ პატივისცემას და სიყვარულს. ქალბატონი მაცე უმურველად სითბოს ანაწილებდა თავის საყვარელ პედაგოგიურ კოლექტივში და მოსწავლე-ახალგაზრდობას შორის.

მასსოვს, ქალთა ორგანიზაციების სამუშაო ოთახის კარი ახალგაზრდა ქალბატონმა შემოადო და საოცრად მშვიდი ტონით რაღაც საკითხზე გვეკითხა. ჩვენ ყურადღებით მიუღმინეთ და ვუპასუხეთ. ქალბატონი დაგვემშვიდობა და გავიდა. მაცე უცებ ჩემგან შემობრუნდა და მითხრა, მშურს ასეთი ქალბატონების, ხომ ნახე, როგორი მშვიდი და გაწონასწორებული იყო. მე მფასიერად ვუთხარი: მაცე, შენ რომ ასეთი იყო, მაშინ არ იქნებოდი მაცე ჩაჩუა-მეთქი, ჩვენ მოგწონხარ ისეთი, როგორც ხარ, ემოციური, გაწონასწორებულიც, ინიციატივითაც და სხვათათვის სიყვარულის მომტანი-მეთქი. მის თვალებში დიდი დამადასტურებელი დასადასტურებელი.

მოგონებებში დარჩა გასული საუკუნის 90-იან წლებში ერთობლივად გაწეული შემოქმედებითი საქმიანობა ქალთა რაიონული ორგანიზაციების სახელით (ქალთა რაიონული საბჭო და საერთაშორისო საზოგადოება "საქართველოს ქალები მშვიდობისა და სიცოცხლისთვის"), ის გამამხნეველები ნაბიჯები, რაც გადატყველების პირას მისული ოჯახების, განსაკუთრებით კი, მრავალშვილიანი დედების დასახმარებლად გადაიდგა და ეს ყველაფერი კეთდებოდა სამტრედიის ქალბატონების და რაიონის ხელმძღვანელების მხარდაჭერით. განსაკუთრებით კი დაუვიწყარია კულტურული ცხოვრების ქრონიკა, რომელმაც იმ უმძიმეს წლებში მნიშვნელოვანი როლი შეასრულა ქალთა საზოგადოების და მოსწავლე-ახალგაზრდობის სულიერად ამაღლების საქმეში. ქალბატონი მაცე ტაპური სახეა ქართველი მანდილოსანისა, რომელსაც საზოგადოებრივ საქმიანობასთან ერთად ღირსეულად ჰქონდა გათავისებული მეუღლის, დედისა და ბებების, ერთი სიტყვით, დიდებული ქალბატონის ფუნქცია. მან დედობის ინსტიტუტს გულთბილი აზარა ქალიშვილი ნანა, პროფესიით ექიმი, უაღრესად ნიჭიერი და ქალური კლემამოსილებით აღსავსე ქალბატონი, რომელიც დროებით რუსეთში ცხოვრობს, ქართული სულითა და ღირებულებებით, ერთგულ მეუღლესთან და შვილთან ერთად.

მაცესა და გურამის გარდაცვალების შემდეგ, ოჯახის ფუძეს ამარტებენ მამუკა და მისი მეუღლე ხათუნა თელია, რომელიც მისი და ქალბატონი მაცის სათავადასრულებელი სკოლის დირექტორად მუშაობდა წლების განმავლობაში. სამწუხაროდ, ისინი სულიერად ტრამპირებული არიან უმცროსი ვაჟის, უკვე კაცობის გზაზე შემდგარი გიორგი ნიშნიანიძის გარდაცვალების შემდეგ, ოჯახის განუზომელი მწუხარება მიეღმა რაიონმა გაიზარა. ამ უბედურებამ გააცოცხლა მოგონებები, გამახსენა ჩვენი მაცე, რომელიც სიყვარულით ხელჩაჭიდებული ატარებდა პატარა გიორგის. ის შვილების და შვილიშვილების სიხარულით ცხოვრობდა. საოცარია, გიორგისთან განშორების შემდეგ ნიშნიანიძეების ოჯახში ახალმა სიცოცხლემ დაისადგურა, ოჯახს მოეწონა უფროსი ვაჟის გუგას ძე გიორგის სახით. ნიშნიანიძეების ფუძეს ახალი სხივი, ნათელი მოეწინა. პატარა გიორგი წლების შემდეგ ყველაფერს მოისმენს მისი წინაპრების შესახებ და გაიგებს იმას, რომ ჰყავდა დიდი ბებია - გულნარა. მაცე ჩაჩუა, რომელმაც ბევრი სასიკეთო საქმე გააკეთა და საპატიო წელიწადი შეიტანა სამტრედიის ქალთა საზოგადოებრივი საქმიანობის აღორძინების საქმეში.

ნათია გალიაშვილი



ომისა და სამხედრო ძალების ვეტერანთა სამტრედიის რაიონული კავშირის გამგეობა, ღრმა მწუხარებით იუწყება, რომ გარდაიცვალა აფხაზეთის ომის მონაწილე თადარიგის "კაპიტანი" ქ. ლანჩხუთის საავადმყოფოს ქირურგიული განყოფილების გამგე, სამტრედიელებისათვის კარგად ცნობილი პიროვნება **მალხაზ მირცხულავა**

და სამძიმარს უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.

ბეჟან გოგია და დემურ ტრაპაძე ოჯახებით მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა ბატონი

მალხაზ მირცხულავა

და თანაუგრძობენ განსვენებულის ოჯახს.

გაზეთ "სამტრედიის მაცნეს" რედაქცია მწუხარებას გამოთქვამს კეთილშობილი პიროვნების, მაღალპროფესიონალი ექიმის, თავის ქვეყანასა და ოჯახზე უსაზღვროდ შეყვარებული ადამიანის, ჭეშმარიტი მართლმადიდებლის, ბატონი

მალხაზ მირცხულავას

გარდაცვალების გამო და თანაუგრძობს მის ოჯახს.

ვალერი სანაძე და ქეთევან ჭვლიძე მწუხარებას გამოთქვამენ ბატონი

მალხაზ მირცხულავას

გარდაცვალების გამო და თანაუგრძობენ მის ოჯახს.

გაზეთ "სამტრედიის მაცნეს" რედაქცია მწუხარებას გამოთქვამს **გიორგი (გიგი) სტურუას** გარდაცვალების გამო და თანაუგრძობს განსვენებულის ოჯახს.



ბეჟან გოგია და ქეთევან ჭვლიძე თანაგრძობას უცხადებენ ბატონ კარლო და ქალბატონ ელზა ლეკვიძე-ილეს ქალბატონი

ჟინო ლეკვიძის

გარდაცვალების გამო.

თამაზ ღუნღუას
განსვენება

70 წლისა გახდებოდა თანამედროვეთა ხსოვნაში მარად ცოცხალი მაესტრო, ანსამბლების "ცისარტყელასა" და "იმედის" პირველი ხელმძღვანელი, ღირსეული სამტრედიელი, ბატონი თამაზ ღუნღუა. გულისტკივილით ვიგონებთ დაუღალავი ენერჯის შემოქმედს, მარად მოფუსფუსეს, ერთგულ მეგობარსა და ღირსეულ სამტრედიელს. ნათელი მის სპეტაკ სახელს!

გიგან პოხია



დაბა კულაშის კ. მკურნალის სახელობის საშუალო სკოლის 1976 წელს კურსდამთავრებულები გულისტკივილით იუწყებიან

ლავთი კვანტალიანის

გარდაცვალებას და თანაუგრძობენ მის ოჯახს.

კიდევ ერთი ჩვენი ქალაქის კოლორიტი, უკეთილშობილესი ადამიანი, კარგი პიროვნება და მოქალაქე წავიდა ზეციურ სამყაროში, ბატონი

როზან (ზინი) ჟიბარძი

სამძიმარს უცხადებთ განსვენებულის ოჯახს.

თამაზ ჰურაშვილი (ლავთი)

თალიკო ქართველიშვილს!

ჩემთვის უძვირფასეს ადამიანს, ერთგული მეუღლის, მზრუნველი დედისა და ბებიის ეტალონს, დამსახურებულ პედაგოგს, ჩვენი ქალაქის კოლორიტს, ქალბატონ თალიკო ქართველიშვილს 92 წლის შესრულებას უდიდესი სიყვარულითა და მოწიწებით ვულოცავ. მინდა, მისმა საუკეთესოდ აღზრდილმა შვილებმა დედის სიბო და სიახლოვე კიდევ ბევრი წელი საამუხრად იგრძნონ.

ნინო ნანიტაშვილი



თელავი



ჩემს ძმას კახეთს ვეწვიე,
ჩამომართვა ხელი,
კასრი ღვინით და მწვადებით
დაძაბა ყელი.

**ყოლოცაეთ!
ქალბატონ გულიკო ცინცაძეს!**

დაბადების დღეს გილოცავთ, ღმერთმა დაგლოცოთ და გაგაძლიეროთ თქვენს ოჯახთან ერთად, ჩვენი საყვარელი გულიკო მასწავლებელი!
მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლი
მხარეთმცოდნეობის მუზეუმი

ბატონ რევაზ კანდელაკს!

სახელოვან იუბილეს გილოცავთ ბატონო რეზო. ჩვენი გაზეთის ერთგულ მკითხველსა და მეგობარს.
იდღეგრძელებთ თქვენს ოჯახთან ერთად.

“სამბრაჟილის გაცნა”



ილია შაჰვიას!

60 წლის ჩვენმა ილომ წელს დაიწყო 20 კილო, გაიტანა გოლები, ააყვავა ტოლები!

ილია შაჰვიას!

დაბადების საიუბილეო თარიღს გილოცავთ, წარმატებებს გისურვებთ პირად ცხოვრებასა და საზოგადოებრივ საქმიანობაში. უფალი გფარავდეთ.

“სამბრაჟილის გაცნა”

ნუკი ხუროშვილს!

სამტრედიის მაცნესთვის კიდევ ერთ ძვირფასს ადამიანს, საყვარელ გოგონას დაბადების დღეს გილოცავთ. ბედნიერება, სინარული და მრავალი ლამაზი წელი შეგმატებოდეთ მომავალ დედას გიორგისთან ერთად.

“სამბრაჟილის გაცნა”



**ფოტოგრაფიის თემაზე
“სამბრაჟია,
ქალაქი და ალამიანები”**



პეიზაჟი/ქალაქი;
არქიტექტურა;
პორტრეტი/ადამიანები.
კონკურსში მონაწილეობის მისაღებად ვიწვევთ ნებისმიერ დაინტერესებულ პირს.
კონკურსში მონაწილეობის მსურველს შესაძლებლობა აქვს, გამოავაზონ 3 ფოტო. მიიღება მობილური ტელეფონით გადაღებული ფოტოებიც.
ფოტო უნდა იყოს JPG ფორმატის, ფოტოს მინიმალური ზომა უნდა იყოს 1920pxX1280 პიქსელი.
რეგისტრაციის ვადა მიმდინარე წლის 17 აპრილიდან 13 მაისამდე.
კონკურსში მონაწილეობის მისაღებად კონკურსანტებმა მითითებულ ელფოსტაზე samtrediaphoto 2019@gmail.com უნდა წარმოადგინონ:
ფოტო (მოკლე აღწერილობა აუცილებელია);
პირადი ინფორმაცია: სახელი, გვარი, ტელეფონი, ელფოსტა.
კონკურსის შედეგად გამოვლინდება 3 გამარჯვებული:
ფოტოს მიერ ხმათა უმრავლესობით;
სოციალურ ქსელ ფეისბუქში მოწონებების შედეგად;
26 მაისს “მომავლის პარკში” გამოფენილი საუკეთესო ნამუშევრებიდან ადგილზე, დამთვალეობის მიერ ხმის მიცემის პრინციპით.
გამარჯვებულები დაჯილდოვდებიან სიგელებით და ფულადი ჯილდოთ:
ფოტოს რჩეული 300 ლარი;
ფეისბუქ გამარჯვებული 300 ლარი;
ადგილზე გამოვლენილი გამარჯვებული 300 ლარი.
დამატებითი ინფორმაციისთვის იხილეთ დებულება:
https://drive.google.com/file/d/1NEg_g5x9la7ZOB-Ae3UTuR-CUpyFhxU/view?usp=sharing



**ფოტოგაწარმოებისთვის
მარიამ გიგინეიშვილი**

**რედაქციის მისამართი:
სამბრაჟია, რისპუბლიკის ქ. №6
ტელ: 599 02 41 11**



დირექტორი ბაჟან გოგია
მთავარი რედაქტორი ქვიციანი თეიმურაზ
გამომწვევი რედაქტორი თეა ბაგუნიანი
პასუხისმგებელი მდივანი ლევან ბაბუნიანი
კომპიუტერული გრაფიკა მკბ პაპაია